საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოლდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 16 ნოემბერი, 2013 წელი.

№221 (7349)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ნულარაფრის გვეშინია! ③

აშშ-ს ახალ თამაშში ირანის ჩართვის პერსპექტივები ⑤

მოსწავლეთა ნაწილი ოკუპირებულ რეგიონში სწავლაზე უარს ამბობს ④

მოქალაქეობის მიმნიჭებელი პრეზიდენტი ②

მსოფლიოში ყველაზე ღარიბი პრეზიდენტი ⑪

წინ, საქართველო!

საამაყო ბიჭები

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე ტურის მატჩი 2:0 მოუგო მოლდოველ თანატოლებს და ვადამდე გაინაღდა ელიტ-რაუნდში თამაშის უფლება.

ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გუშინ გამართული შეხვედრის ბედი დებიუტშივე გადაწყდა, როცა კიკაბიძემ (მე-4 წუთზე) და აბურჯანიამ (მე-8 წუთზე) ზუსტი დარტყმებით დაასრულეს პარტნიორთა იერიშები.

შეგახსენებთ, რომ ეს სწორედ ის გუნდია, რომელიც შარშან კონტინენტური ფორუმის ნახევარფინალში გავიდა და ჰოლანდიელებთან დამარცხდა.

სხვათა შორის, ვასილ მაისურაძის გაწვრთნილი ბიჭები თბილისური ბატალიების დასკვნით უმოტივაციო ბრძოლას ხვალ ისევ „ტიტების ქვეყნის“ წარმომადგენლებთან გამართავს.

სილამაზე, რომელიც არსად წასულა... ⑧

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ალიან-ჩალიანი

შეხვედრა ელჩებთან გრძელდება

ახლად არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებთან შეხვედრებს განაგრძობს. გუშინ მარგველაშვილი ხუთ უცხოელ ელჩს შეხვდა, აზერბაიჯანის, იაპონიის, გერმანიის, ჩინეთის და საფრანგეთის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს.

გარდა ამისა, საფრანგეთის ელჩთან ერთად მარგველაშვილს შეხვდა საქართველოში ყოფილი ელჩი ერიკ ფურნიე, რომელიც ამ დროისთვის საფრანგეთის საგარეო უწყებაში მუშაობს.

შეხვედრები თბილისი მარიოტში აზერბაიჯანის ელჩთან აუდიენციით დაიწყო. როგორც აზერბაიჯანელმა დიპლომატმა ჟურნალისტებს შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა, მან გიორგი მარგველაშვილს მისი ქვეყნის პირველი პირების მილოცვა გადასცა, შემდეგ კი არსებულ ორმხრივ კეთილმეზობლურ და სტრატეგიულ პარტნიორულ ურთიერთობებზე ისაუბრეს. ამასთან აზერბაიჯანის დიპლომატი აზერ თოფიგოლლუ დარწმუნებულია, რომ გიორგი მარგველაშვილი აზერბაიჯანთან ურთიერთობის თვალსაზრისით არსებულ პოლიტიკას გააგრძელებს, მისივე ინფორმაციით, მარგველაშვილის ინაუგურაციას აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი დაესწრება, რომელიც ამ მიზნით თბილისში კვირას ჩამოვა.

კარგად გაწერილი ინაუგურაცია მინიმალური აქტივობებით

საძართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო დარწმუნებულია, რომ არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია იქნება კარგად გაწერილი და ეფექტური.

მისივე თქმით, თავად იგი ინაუგურაციის პროტოკოლის შემუშავებაში უშუალოდ ჩართული არ არის და ამასთან დაკავშირებით შექმნილია სამთავრობო კომისია, თუმცა მისთვის ინაუგურაციის ძირითადი მომენტები ცნობილია.

ინაუგურაციაზე დასწრების საშუალება რიგით მოქალაქეებს არ ექნებათ. „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოში“ განაცხადეს, რომ ცერემონიას, რომელიც პარლამენტის შენობის ეზოში გაიმართება, მხოლოდ მოწვეული სტუმრები დაესწრებიან.

ამასთან, მათივე განმარტებით, აღნიშნულის გამო და იმის გათვალისწინებითაც, რომ ღონისძიება პომპეზური ხასიათის არ იქნება, რუსთაველის გამზირი არ გადაიკეტება.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილს იგი ამ დროისთვის ბრიუსელში იმყოფება და, არსებული ინფორმაციით, პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი ევროპაში შეხვედრებს მართავს.

გარდა ამისა, „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, თვითმფრინავი, რომლითაც მოქმედი პრეზიდენტი ევროპაში გაემგზავრა, საქართველოში მიხეილ სააკაშვილის გარეშე დაბრუნდა.

აშშ მიესალმება საქართველოს მჭიდრო ურთიერთობას ევროკავშირთან

– აშშ მხარს უჭერს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის სუვერენულ უფლებას, აირჩიონ თავიანთი მომავალი და მივესალმებით მათ მჭიდრო ურთიერთობას ევროკავშირთან. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ვიქტორია ნულანდმა სენატში, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გამოსვლისას განაცხადა.

როგორც ვიქტორია ნულანდმა აღნიშნა, ევროპელ მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ერთად, აშშ მუშაობდა, რათა დახმარებოდა უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს, შეესრულებინათ მკაცრი მოთხოვნები ვილნიუსის სამიტზე თანხმობის მისაღებად.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თქმით, 28-29 ნოემბერს ვილნიუსის სამიტზე, ევროკავშირის წევრები გადაწყვეტენ, მოაწერონ თუ არა ხელი ასოცირების ხელშეკრულებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას უკრაინასთან, ასევე მოახდინონ თუ არა პარაფირება მოლდოვასთან და საქართველოსთან.

– სამივე ქვეყნისთვის ეს ისტორიული მომენტი და მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მათი ოცნებისკენ – ევროპაში სრული ინტეგრაციისკენ, – განაცხადა ვიქტორია ნულანდმა.

როგორც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სენატში გამოსვლისას აღნიშნა, 2012 და 2013 წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჭეშმარიტად კონკურენტული ეროვნული არჩევნებისადმი, რომლის შედეგიც ძალაუფლების მშვიდობიანი, დემოკრატიული გადაბარება იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

ღერტილოვანი ფრაზები

● საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული, პროტოკოლით გათვალისწინებული ტანსაცმელი, ინაუგურაციაზე მოწვეული სტუმრებისთვის:

მამაკაცებისთვის – საქმიანი ტანსაცმელი.

ქალბატონებისთვის – მოკლე კაბა.

ჩემი ახალგაზრობის სიმღერა გამახსენდა, სათაურით: „რესტორანში შემოვიდა ბარიშნა... კაბა ეცვა მოკლე, ამერიკული, შიგ უჩანდა ბაღი ბოტანიკური...“

ორ დღეში, ამერიკული კაბების და ბოტანიკური ბაღების გამოფენას ვიხილავთ.

● მურატ ილდირინი როდის მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას, რაინდის წოდება ალბათ შემდეგი ეტაპია ხო?

● ტყუილი რაც უფრო აბრიქინებულია, უფრო კაქი მოსასმენია თუ თავის გადებილების რეჟიმშია ადამიანი გადასული..... მოკლედ ემანუელა გამახსენდა. არა რამე პორნოგრაფია არ იფიქროთ, ეს „რუსთავი 2“-ის დაბალანსებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მიმომხილველია, ყური-ერის სპეც. კარესპონდენტი. კორპურაციულ ბინაში ალასანიამ და ნაცვლიშვილმა შემიყვანეს და შემიყვანესო.

არა, ბაზარი შემიყვანე, განა სხვა რამეო. ჩვენ ტყუილებს ვიტყვით და შენ იძახე ეგრეაო. ხოდა, სად ტყუილი და სად რუსთავის 2-ის ჟურნალისტი. გამოენთო ემანუელა და ამოაბრიფინგა. ძირს ქოცები, მიშა მაგარიაო. ვავა, ემანუელა, ვავა! დაჟე ის 20% არ აკენკავს მაგ ზღაპარს ახლა ალასანია და ნაცვლიშვილი, რომ შენთან იკორპორატივებდნენ.

● ბევრი ვიფიქრე და დავასკვენი: – რატომ ვეპადხალიმებით და ვეფერებით მილიონერებს? იმიტომ, რომ ფული დახარჯონ არა? და რატომ არ ხარჯავენ მილიონერები ფულს? იმიტომ, რომ ხალხი სულ ელაქუცებოდეს და „ეფერებოდეს“ – დახარჯვის მოლოდინით.

მარტივი ფორმულაა, მილიონერი მიჩვეულია მუქთაობას და ხალხსაც რომ მუქთად აღიმებს და პატივისცემით ეპყრობიან, ისიც მოსწონთ. ეგაა რა...

● პირადად არავის ვეხები, უბრალოდ გეკითხებით, იმ ქვეყანაში სადაც ცხრა წელი სასწაულ უსამართლობას ვეგუებოდით, ნუთუ მართლა გწამთ, რომ ვინმეს შეიძლება ჰქონდეს რაინდობაზე პრეტენზია?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ვითარება

მოქალაქეობის მიმნიჭებელი პრეზიდენტი

ექსპერტები სახიფათოდ მიიჩნევენ პრეზიდენტის საქციელს მათი მონაცემების შეუსწავლელად მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს. მიხეილ სააკაშვილმა უკვე 2700 თურქეთის მოქალაქეს, წარმოშობით ქართველს, მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა. გუშინ დასრულდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მოქალაქეობის მსურველთა განცხადებების მიღება. სააკაშვილი საკუთარი ფეისბუკის გვერდზე **განცხადებასაც ავრცელებს, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ის არ აპირებს ყველა უცხოელს – განურჩევლად, უსაფუძვლოდ – მიანიჭოს მოქალაქეობა. რა საფრთხეებს ხედავენ ექსპერტები საქართველოს მოქალაქეობის მასობრივ გაცემაში?**

პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან რამდენიმე დღის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთა გრძელი რიგი 12 ნოემბერს შეწყდა, რადგან განცხადებების მიღების ვადა ამოიწურა. რიგში მდგომებს, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობის გარდა, საქართველოს მოქალაქეობის მიღება სხვადასხვა მიზეზით უნდოდათ – ზოგს აქ ბიზნესის წარმოება სურს, ზოგს – სტუდენტობის გაგრძელება, ზოგიც ფიქრობს, რომ სიბერეში სახელმწიფოსგან შემწეობის მიღების შესაძლებლობა ექნება.

ნატალია ივანოვა ოთხი წლის წინათ საქართველოში გათხოვდა და იმის გამო, რომ მომავალშიც აქ აპირებს მეუღლესთან ერთად ცხოვრებას, მოქალაქეობის მიღებაც სურს:

„აქ 2009 წლიდან ვცხოვრობ. 4 წლის განმავლობაში აქ ვმუშაობ და მინდა, რომ სამუშაო სტაჟი მქონდეს, პენსია. გადასახადებს ვიხდი და მინდა, რომ სიბერეში შემდეგ სახელმწიფომაც იზრუნოს ჩემზე“.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთის გულწრფელ სურვილში, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, ცუდს ვერაფერს ხედავს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორასთან ურთიერთობის საკითხებში კონსტანტინე სურგულაძე გაუმართლებლად და მოქალაქეობის გაუფასურების მცდელობად მიიჩნევს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, მიანიჭოს მოქალაქეობა ამ სურვილის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს.

„არ უნდა გავაუფასუროთ საქართველოს მოქალაქეობა მისი ასე მარტივად მინიჭებით და ეს პოპულიზმისთვის არ უნდა გამოვიყენოთ. პატივი უნდა ვცეთ იმ ინსტიტუტებს, იმ დაწესებულებებს, იმ სამინისტროებს, რომლებიც ამაზე მუშაობენ და უნდა ვაცალოთ მათ, რომ თავიანთი დასკვნები დადონ ყოველ კონკრეტულ ადამიანზე. ასე იქცევა ყოველი ნორმალური ქვეყანა და არც ერთი ნორმალური ქვეყანა და არც ერთი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანი ხელაღებით არ აძლევს მოქალაქეობას სხვა ქვეყნის მოქალაქეებს“.

ექსპერტი კახა კახიშვილი კი ამბობს, რომ საზოგადოებაში არასწორად არის გაგებული, თითქოს პრეზიდენტის დისკრეციული უფლებაა მოქალაქეობის მინიჭება. ამას არეგულირებს კანონი მოქალაქეობის შესახებ. მართალია, პრეზიდენტს კონსტიტუციით აქვს მოქალაქეობის მინიჭების უფლება, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში და არა განსაკუთრებული შესწავლის გარეშე, ამბობს კახიშვილი:

„თუ ერთ კონტექსტში განვიხილავთ შეწყალებას და პლუს ასე მოქალაქეობის ჩამორიგებას, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ამგვარი რამ მიზანმიმართულად კეთდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესასუსტებლად. მოვუწოდებ საქართველოს პროკურატურას, დაიწყოს გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით და, ამავე დროს, იუსტიციის სამინისტროს, ჩაერთოს პროცესებში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, რათა ვიცოდეთ, რა კრიტერიუმებით ხდება ამის დადგენა“.

კახა კახიშვილის სიტყვებით, ასეთი ტიპის მოქალაქეობის მინიჭებამ შეიძლება, გამოიწვიოს საქართველოსთან სავიზო რეჟიმების გადახედვის საჭიროება.

სკეპტიკოსთა საპასუხოდ, პრეზიდენტმა თავისი ფეისბუკის გვერდზე განცხადება გაავრცელა, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ის არ პირებს განურჩევლად ყველას მიანიჭოს საქართველოს მოქალაქეობა:

„მე მაქვს მკაცრი კრიტერიუმები და ადამიანს მკვეთრად გამოხატული საფუძველი და საქართველოსთან კავშირი უნდა გააჩნდეს ქართული პასპორტის ასაღებად. როგორც წესი, ეს ეხება სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ქართველებს“.

თუმცა, ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ პრეზიდენტობისთვის დარჩენილ რამდენიმე დღეში მიხეილ სააკაშვილმა მოქალაქეების მსურველთა ბიოგრაფიის საფუძვლიანი შესწავლა მოასწროს. ამასთან, როგორც სამოქალაქო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან სამადაშვილი ამბობს, შესაძლოა, ყველა პირმა, რომელსაც პრეზიდენტი მოქალაქეობას მიანიჭებს, ვერ მიიღოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ვინაიდან ამისთვის ისინი დამატებით კრიტერიუმებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ. კანონმდებლობით, მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი შეიძლება მიიღოს საქართველოში რეგისტრირებულმა პირმა, რომელიც ფლობს საქართველოში ქონებას და თუ ორი მოწმე დაადასტურებს, რომ ეს პირი ერთი თვის განმავლობაში ცხოვრობს კონკრეტულ მისამართზე, ან თუ რეგისტრირებულია რომელიმე მისამართზე:

„თუ არც ერთი მესაკუთრე არ მისცემს თანხმობას, რომ დარეგისტრირდეს მის მისამართზე, ან თუ ისინი არ ფლობენ ქონებას, ანუ თუ რეგისტრაციის ვერც ერთ მოთხოვნას ეს ადამიანები ვერ დაკმაყოფილებენ, ვერ გაიცემა პირადობის მოწმობა. ეს წესი მოქმედებს საქართველოს მოქალაქეებზეც, ვინაიდან რეგისტრაცია არის პირდაპირ მიბმული პირადობის მოწმობის აღებასთან“.

ამასთან, ლევან სამადაშვილის სიტყვებით, მათთვის უცნობია, თუ რამდენმა ადამიანმა მიმართა პრეზიდენტს მოქალაქეობის მიღების სურვილით. სააგენტოში მხოლოდ ის იციან, რომ 2700 თურქეთის მოქალაქეს მიანიჭა პრეზიდენტმა მოქალაქეობა და მათგან 300-მა ისურვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღება. თუ რამდენ პირს მიანიჭა, საერთოდ, მიხეილ სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის მიწურულს საქართველოს მოქალაქეობა, კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

ნინო ხარაძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ ინფორმაცია

მუვიდობით, მანანა, აწი ამდენი სისულელის წაკითხვა აღარ მოგიწევს

მანანა მანჯგალაძე საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერი აღარ არის. გუშინ ჟურნალისტებს როგორც ყოფილი პრესსპიკერი, ისე წარუდგა. მისი თქმით, „ამაყობს, რომ იყო გამორჩეული პოლიტიკური ლიდერის გვერდით“.

მანვე ახალ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს წარმატებები უსურვა.

ინტერპრესი

ნუღარაფრის გვეშინია!

1. ნაციონალები ისევ ხალხმა უნდა მოიკვეთოს!

ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ნაციონალური მოძრაობის მთელი ელიტა, თვით მისი „უდიდებულესობა“ მიხეილ სააკაშვილით დაწყებული და პროვინციელი ხულიგნით აკაკი ბობოხიძით დამთავრებული, საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაგულისდებოდნენ და ქვეყანას პოლიტიკური ტერორის ახალ „იდეოლოგიურ“ ტალღას დაატეხდნენ თავს.

ერთმმართველ ნაციონალთა გუნდი საკუთარ ტყუილებში დაჯერებული, ამბიციური, ყველაფრის მკადრებელი, ქართული ცნობიერებისგან დაცლილი, ანტიეროვნული გუნდია.

62 პროცენტზე მეტის მომგროვებელი გიორგი მარგველაშვილი და მისი მხარდამჭერი უმრავლესობა უფრო მოკრძალებულად აპიარებს საკუთარ გამარჯვებას, ვიდრე 21-პროცენტიანი ყვარყვარე ბაქრაძე და ამჯერადაც პირწმინდად დამარცხებული ნაციონალები.

იქედნეს ნაშობი მიშას წიწილები ნამდვილად არ ელოდნენ მეორე ადგილს, მაგრამ... ჯერაც გაბრიყვებული ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდმა ნაწილმა ნაციონალური მოძრაობა მკვდრეთით აღადგინა და უკადრისი მეთოდებით ბრძოლის გაგრძელების სურვილი გაუორმაგა.

ნაციონალებს ეს შედეგი ნამდვილად არ ექნებოდათ, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხალხისთვის, ჭკუასაკითხავი ქართველებისთვის მეტად რომ დაეგდოთ ყური.

მართალია, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბეჭებზე დადო ამერიკის და ევროპის ფავორიტი მიხეილ სააკაშვილი, თანაც მშვიდობიანი გზით, არჩევნებით! მაგრამ ეს მარტო იმიტომ კი არ მოხდა, რომ ბიძინა ივანიშვილი იყო დიდი პოლიტიკოსი, არამედ იმიტომ, რომ მიხეილ სააკაშვილმა, როგორც მოძალადემ, ამპარტავანმა, ამბიციურმა და მატყუარა ლიდერმა ყელში ამოუყვანა ქართველ ხალხს...

ჭირთამთმენი, დაბეჩავებული, შეურაცხყოფილი საშუალო და უფროსი თაობის ინტელიგენცია განსაკუთრებით იმან აღაშფოთა, რომ საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებში მიშა ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა: **ისღა მაკლია ჩემი აშენებული ქვეყანა ამ ჯოჯოებს, მახინჯებს, უბადრუკებს, ჩარეცხილებს დავანგრევინო; არჩევნებს პირწმინდად მოვიგებ და ვიღაც მილიარდელი, ოკუპანტ და დამპყრობელ რუსეთში გამდიდრებული ბიძინა ივანიშვილის ფუყე კოალიციას მუხლებზე დავაჩოქებო!..**

სინამდვილეში, 2012 წლის 1 ოქტომბერს რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ავაზაკი და უსირცხვილო მიშა რა „მაგარი ქართველი“ იქნებოდა, რომ ჩრდილში დამდგარიყო, ადამიანურად დაემორცხვა, პირიქით, **მაშინვე ოპოზიციაში გადაბარგდა და ძვეყანაში ორხელისუფლებიანობა დაბაკანონა.**

სწორედ ამ ორხელისუფლებიანობის უჟამო ჟამს, უკვე წელიწადზე მეტია, ერთგული ამომრჩეველი მოუწოდებს ბიძინა ივანიშვილს და მთელ საპარლამენტო უმრავლესობას, ახალ მინისტრებს და პროკურორ-გამომძიებლებს, რომ არაფრით არ შეიძლება საკუთარ ტყუილებში დაჯერებული, ყველაფრის მკადრებელი, ქართული ცნობიერებისგან დაცლილი, ანტიეროვნული ნაციონალების დანდობა, მათთან ადამიანური თანამშრომლობა (კოჰაბიტაცია), საზღვარგარეთ მიშას, ბოკერიას, გაბაშვილის, ბაქრაძის და სხვათა ანტისახელმწიფოებრივი ყრანტალის უყურადღებოდ დატოვება, „ოცნების“ საწინააღმდეგოდ გამართული გააფთრებული ბრძოლის მიყურისძირება!

ნაციონალების არამზადობის საპასუხოდ ივანიშვილის გუნდმა, საკუთარი ხალხის სამართლიანი მოთხოვნის საპირისპიროდ, ევროპელი და ამერიკელი „მეგობრების“ სურვილები გულში „ჩაიხუტა“ და... „სად უნდა წავიდნენ, ესენიც ხომ ჩვენები არიან, საბაკაშვილის რეჟიმის მსხვერპლნი თანდათან გამოსწორდებიანო“...

ნუღა მოვიხმობთ ძველისძველ ანდაზას კუზიანების სამარეში გასწორების შესახებ... აგერ, თვალწინ არ გვიდევს ამაზრზენი სასამართლო პროცესების წყებათა-წყება, რომლებზეც კბილაშვილის (ახლა უკვე ყოფილის), მთელი მთავარი პროკურატურის ჯერ აღზევების (ვითარცა სახელმწიფო ბრალმდებლისა) და შემდეგ დაცემის ტრაგიკომედიები რომ თამაშდება...

ისე, ყოჩაღ კოტე კუბლაშვილო, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეე, როგორი გარდაქმნილი, სამართლიანი, აბსოლუტურად თავისუფალი სასამართლო და იუსტიციის საბჭო შეაჩეჩე ხელში ახალ პრემიერს! ვერც ერთი გაიძვერა ვექილი (გაბაიძე-ჩივიაშვილი-ონიანის ჩათვლით) ვერ მოუძებნიდა ხინჯს თქვენს „ნამოღვაწარს“...

...აგერ არ არის ნაცებისა და ოცნებელების შეხმატკბილებული კოჰაბიტაციის ქართული ვარიანტი? — წივილ-კივილი და გაწევ-გამოწევა (ოდენ გუშინდელი ფაქტი რად ღირს) პარლამენტში 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებისა გამო; პარლამენტის დაუმთავრებელი, სახელმწიფო რეესტრში გაუფორმებელი, სახელმწიფო ბალანსზე „აუყვანელი“, მაგრამ მაინც იმერეთის „სამეფოს“ ამყვავებელი ნაგებობისა და მის უძვირფასეს მდგმურთა ბედის გამო...

რა სიბრიყვეა, რა სიბნელეა! თუ ქუთაისური პარლამენტის შენობა მხოლოდ ქუთაისის მერიის ბალანსზეა, თუ სახელმწიფო რეესტრში გატარებული არ არის, რაღად უნდა უმცირესობის მოლაყბეებთან შეთანხმება, დაამთავრეთ თბილისში წამოჭიმული, ქართული არქიტექტურის მეოცე საუკუნის მშვენების (საუკუნის №1 ნაგებობად აღიარებული) სასახლის რემონტი და... თებერვლიდან აქ განაახლეთ მუშაობა. კანონით ხომ პარლამენტის ბალანსზე რიცხულ შენობაში უნდა ბრძანდებოდეთ... კაკო ბობოხიძე და გიორგი თევდორაძე დარჩნენ ქუთაისში, მაგათ მოარჯულებს გუბაზ სანიკიძე (მეტი არაა ჩემი მტერი!)...

ისე, ნაციონალმა დეპუტატებმა, ქუთაისიდან წამოსვლის წინ, უფალს კიდევ ერთხელ უნდა შესთხოვოთ შენდობა და პატიება. ნუთუ გავიწყდებათ, რომ მიშა სააკაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, როცა ქუთაისში პარლამენტის ყოვლად უემოციო, უსახური, კუს ფორმის და, რაც მთავარია, იმერეთის ნესტიანი კლიმატისთვის აბსოლუტურად შეუფერებელი შენობის აგება გადაწყვიტეთ, პირველი ვანდალიზმი ქართველთა გენიალურ მოქანდაკეს, დიდ მამულიშვილსა და შემოქმედს, ბატონ მერაბ ბერძენიშვილს „მიუძღვენით“ — 2009 წლის დეკემბერში ააფეთქეთ გამარჯვების მემორიალი და ქართველ გმირთა სიმბოლური, ღრმად ქრისტიანული სავანის ნანგრევებზე ცოდვის სახლის მშენებლობა დაიწყეთ. ეს იყო ნაციონალების მიერ ჩადენილი კიდევ ერთი ვანდალიზმი, ტერორისტული აქტი, რომელსაც 12 წლის გოგონას და მისი ახალგაზრდა დედის სიცოცხლე შეეწირა...

ბუნებრივია, ქუთაისში პარლამენტის მუშაობა, ამ ფაქტის გამოც არ შეიძლება. ქალაქის მერიამ კი იმ ცოდვილი ნაგებობის წინ დედა-შვილის ხსოვნის აღმნიშვნელი პატარა მემორიალი დადგას!..

...კოჰაბიტაცია, საზღვარგარეთიდან თავს მოხვეული ურთიერთთანამშრომლობის პროცესი ხვალ უნდა დამთავრდეს. ასე გვპირდებიან ახალი პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი,** უმრავლესობის ლიდერი **დავით საგანელიძე,** პირველი ვიცესპიკერი **მანანა კობახიძე** და სხვები...

* * *

ხვალ, ქვეყნის მეოთხე პრეზიდენტის ინაუგურაციას, ყველაზე მეტად ის ფაქტი აუფერულებს, რომ ჩასაფრებული ნაციონალები, ქართველი ხალხის მტანჯველ-მწამებელი მიხეილ სააკაშვილი, მისი ამქრის წევრები არსად წასულან და დიდ გულზე არიან!

პოლიტიკური ბატალიებისგან გადაძანცულ ჩვენს ხალხს წინ კიდევ დიდი ბრძოლები ელის...

ნაციონალები ისევ ხალხმა უნდა მოიკვეთოს!

ევროპა და ამერიკა კი ქართველი ხალხის ნების წინააღმდეგ ვერ წავა და არამზადა სააკაშვილის გამო ზურგს არ შეგვაქცევს.

2. სიტყვითმკვლელები

ამ რამდენიმე თვის წინათ დღიურში ჩამიწერია:

მმართველი პარტიის „ჰუმანისტი“ თვალისჩინის ნუგზარ წიკლაურის ბუუტტურს რომ ვისმენ, უმალ მახსენდება გენიალური სიბრძნე ეკლესიასტედან: ცხოვრება ყოველთა ამოებათა ამაოებაა.

ეტყობა, საუკუნეების წინათაც ასე იყო: ნუგზარ წიკლაურის მსგავსი მარტოოდენ საჭმლის გამტარი მილები აიძულებდნენ ადამის შვილებს, ასე უპირობოდ მოესრათ ცხოვრების არსი და დანიშნულება.

არ განიკითხო და არ განიკითხები... არც ეს ელემენტარული ქრისტიანული შეგონება იცის ნუგზარ წიკლაურმა. ვერაფრით წარმოვიდგენდი ნაცების და მიშას მლიქვნელთა გუნდის თავში მდგარი ეს კუდმოქიცინე გოშია „რიგით“ ქართველზე, თითოეული გონიერი თანამემამულის იმედზე, საკუთარი წარსულით და დღევანდელობით საფიცარ პიროვნებაზე უტიფრად იტყოდა: **„ბიძინა ივანიშვილი არის ხმა პოლიტიკური სამარიდან“.**

აი, განკითხვა! აი, გაკიცხვა და შეკვეთით ადამიანის ცოცხლად დამარხვის წიკლაურისეული გაფართხალება-გაბრძოლება. ამ გაბრძოლებას ქრისტიანული მორალით, ერთი ქართველის მიერ მეორის **სიტყვითმკვლელობა** ჰქვია.

ამას კადრულობს პარლამენტში, ნაცების პარლამენტში შეძრომამდე აბსოლუტურად უცნობი პერსონა.

მერე რა, რომ ის ვითომ ზვიადისტი იყო, ვითომ მხედრიონს ებრძოდა, პოლიტიკას ეტმასნებოდა... მაინც უცნობად დარჩა... მერე მიყუჩდა და დედაუნივერსიტეტს შეაფარა თავი...

...არ ჯობდა იქ დარჩენილიყო და ჰეროსტრატეს სინდრომით არ დაავადებულიყო? მაგრამ არა, ეშმაკი რომ შეუჩნდება კაცს, რა სისაძაგლეს არ ჩაადენინებს, რა სისულელეს არ ათქმევინებს.

კერპთაყვანისმცემელი მთიელი კაცი (მიშას თაყვანისცემას ვგულისხმობ!), გახარებულია, რომ ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა არა აქვს და მას რუსეთში დაგროვილი მილიარდები ვერ იხსნის... ეს პროექტი რუსულია და საქართველოში ვერ გავა... ეს ყველამ ჩაიბეჭდოს თავში, განსაკუთრებით ივანიშვილმა...

წიკლაურის კიდევ ერთი სუპერ-იდიოტური შეფასება: საზოგადოებაში კითხვები არსებობდა, ივანიშვილი ყველაზე უფრო მიღებულ ოდიოზურ პოლიტიკურ ძალებთან ითანამშრომლებდა თუ არა. როცა ცნობილი გახდა, რომ იმ პოლიტიკოსებთან ურთიერთობას აპირებს, რომლებიც კრემლთან პირდაპირ არიან დაკავშირებული, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ამ მოღალატეობრივი ადამიანების მოქმედების საწინააღმდეგოდ ქართველი საზოგადოებისა და პოლიტელიტის კონსოლიდაცია მოხდება...

ვინ არის „მოღალატეობრივი“ ადამიანი — ბიძინა ივანიშვილი?

ან ვინ არის ოდიოზური პოლიტიკური ძალა — ნინო ბურჯანაძე?

ტვინნაღრძობი ნაციონალების გარდა, რომელი ქართველი დაგიჯერებთ ამას?

მოდი და ნუ აღფოთდები ამ „სახალადეცე ღორის თავის“ ნაბჟუტურებით...

ყოველთა ამაოებათა ამაოება... ნაციონალების შემყურეს თავი შეგძულდება კაცს!

სპარტაკ ქობულია

◎ კონფლიქტის ზონა

მოსწავლეთა ნაწილი ოკუპირებულ რეგიონში სწავლაზე უარს ამბობს

ოკუპირებულ აფხაზეთთან მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები მოზარდების ნაწილი უკვე არაერთი წელია აფხაზეთში მდებარე სკოლებში სწავლობს. მიზეზი ამ სკოლების ტერიტორიული სიახლოვეა. ვითარება, ოკუპირებული გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე, ახლახან შეიცვალა.

სოფელ ხურჩაში მცხოვრებ ბავშვებს მოსაზღვრე სოფლის, ოკუპირებული ნაბაკევის სკოლაში წასვლის უფლებას რუსეთის სამხედროები არ აძლევენ. მშობლების თქმით, სოხუმის დე ფაქტო ადმინისტრაციას დაპირება მოსწავლის საშვის დამზადების შესახებ, რომლითაც მოზარდებს ადმინისტრაციულ საზღვარზე გადაადგილების თავისუფლება მიეცემოდათ, ამ დრომდე არ შეუსრულებია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკის თემში — ხურჩაში მცხოვრები თეონა ნარმანიას ორი შვილი ოკუპირებულ რეგიონში იმ მიზეზით სწავლობდა, რომ ნაბაკევის სკოლა მათი სახლიდან 1 კილომეტრით, ხოლო კოკის 3 კილომეტრითაა დაშორებული.

მიუხედავად დიდი სურვილისა, მეოთხე და მეხუთე კლასის მოსწავლეებს სწავლა კვლავ ნაბაკევში გაეგრძელებინათ, ე.წ. საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვის მიზეზით, ისინი ხვალიდან კოკის საჯარო სკოლაში ივლიან. შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას თეონა ნარმანია დღეიდან შეუდგა: **„რასაც შეგვპირდნენ, გადასასვლელ საშვებს გაგიკეთებთო, არ გაუკეთებიათ. 11 ბავშვი იყო ადრე, ვინც იქეთ გადადიოდა და ახლა ნახევარმა ზუგდიდის სკოლებში შეიყვანა ბავშვი. მაღალკლასელებს არ აწყობთ აქეთ გადმოსვლა და ჯერ არ გადაუწყვეტიათ. არადა, კვირაში ერთხელ ახერხებენ გადასვლას, აქ მეცადინეობენ მასწავლებელთან“.**

როგორც მითხრეს, კიდევ აპირებენ გადმოყვანას და ამის მიზეზი არის ის, რომ მათ დაპირდნენ და მიუხედავად ამისა საზღვარზე გადაადგილების უფლებას არ აძლევენ. გუშინ ვინც იყვნენ მშობლები, მითხრეს, რომ ერთი თვეაო ბავშვები სახლში გვყავსო სკოლის გარეშე და წაიღეს ჩემგან მოთხოვნა... დალილა ჩიქავა.

იმავე მიზეზით ნაბაკევის სკოლიდან შვილის გაყვანის გადაწყვეტილება მიიღო რადიო თავისუფლების კიდევ ერთმა რესპონდენტმა, ნაბაკევში მცხოვრებმა ახალგაზრდა მამაკაცმა, რომელსაც ვინაობის გამხელა არ სურს. მისი 7 წლის შვილი დედასთან ერთად ხურჩაში ცხოვრობს და სკოლაში მისასვლელად ყოველდღიურად ე.წ. საზღვარი, ღელე ხურჩიაზე გადებული ხიდი, უნდა გადაეკვეთა.

რესპონდენტის ცნობით, ნაბაკევის სკოლა ე.წ. საზღვარზე შექმნილი შეზღუდვების გამო 10-მა ბავშვმა დატოვა: **„საზღვარზე ბავშვი ერთი- ორჯერ შეაშინეს და ძაან განიცდის. არადა, არ უნდა სხვა სკოლაში გადასვლა, რადგან უკვე მიჩვეულია მასწავლებლებს, ბავშვებს, სკოლას. უნდა გადავიყვანო სხვა სკოლაში, ჯერ არ გადამიწყვეტია, სად“.**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკის საჯარო სკოლის დირექტორმა დალილა ჩიქავამ რადიო თავისუფლებას აცნობა, რომ ბოლო დღეებში სკოლაში უკვე მიიღეს სოფელ ხურჩაში მცხოვრები 6 მოზარდი: **„როგორც მითხრეს, კიდევ აპირებენ გადმოყვანას და ამის მიზეზი არის ის, რომ მათ დაპირდნენ და მიუხედავად ამისა საზღვარზე გადაადგილების უფლებას არ აძლევენ. გუშინ ვინც იყვნენ მშობლები, მითხრეს, ერთი თვეა ბავშვები სახლში, სკოლის გარეშე გვყავსო და ჩემგან მოთხოვნა წაიღეს“.**

დალილა ჩიქავას თქმით, მოსწავლეების ტრანსპორტირებაზე განათლების სამინისტროს მიერ დანიშნული მიკროავტობუსი იზრუნებს.

ხურჩაში მცხოვრები ბავშვებისთვის გამყოფი ხაზის იქით მდებარე სკოლებში სწავლის აკრძალვის გადაწყვეტილება ოკუპირებული გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის უფროსმა მიიღო. ბესლან არშბას განცხადებით, სოფელი ხურჩა საქართველოს ტერიტორიაზეა და აფხაზური მხარე ვერ აიღებს პასუხისმგებლობას ბავშვებზე, რომლებიც უცხო სახელმწიფოში ცხოვრობენ: **„იმის გამო, რომ ბავშვებს არ აქვთ შესაბამისი დოკუმენტები, რომ საზღვარი გადაკვეთონ, ჩვენ დახმარება არ შეგვიძლია. ვუთხარი, რომ მზად ვართ, სწავლის პირობები შევუქმნათ, თუ აქ ნათესავებთან იცხოვრებენ, მაგრამ მშობლებმა თქვეს, რომ ამის გაკეთება არ შეუძლიათ და ბავშვები აფხაზეთის საზღვარზე უნდა გავატაროთ, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტების არარსებობის გამო ვერაფრით დავეხმარებით“.**

გალის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბესლან არშბას განცხადებითვე, ადგილობრივ სკოლებში შეუძლიათ, ისწავლონ მხოლოდ იმ ბავშვებმა, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ აფხაზეთის მიმართულებით აღდგება „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სამუშაო ჯგუფის“ შეხვედრები, აცხადებენ, რომ განათლების საკითხი დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება.

თამარ ზანთარაია

◎ გარევაჭრობა

პრობლემის გადაჭრა აღარავის ევალება

გარევაჭრობა მთელი ქვეყნის თავსატეხია. პრობლემაა მისი დაშვება, პრობლემაა მისი აკრძალვაც. მის გამო დედაქალაქსა თუ რეგიონებში მუდმივად იმართება საპროტესტო აქციები. პერიოდულად პროტესტს გამოთქვამენ როგორც გარევაჭრობის მომხრეები, ისე მისი მოწინააღმდეგეები. მიუხედავად ამისა, საკითხი საბოლოოდ ჯერ არსად მოგვარებულა.

რამდენიმე დღის წინათ თბილისში, ვაგზლის მოედანზე მოვაჭრეებმა გარევაჭრობის აკრძალვის მოთხოვნით საპროტესტო აქცია კვლავ გამართეს. მოვაჭრეები დილიდან სადგურის მოედანზე შეიკრიბნენ და გზის გადაკეტვა სცადეს. მათ რამდენიმე წუთით ავტომანქანების მოძრაობა შეაფერხეს.

მოვაჭრეთა თქმით, მათთან კლიენტი აღარ მიდის და დახლის ფულს ტყუილად იხდიან. გარემოვაჭრეები მხოლოდ წონაზე მუშაობენ. ისინი ითხოვენ, რომ აიკრძალოს გარევაჭრობა და ყველამ ერთად „ბორჯომი-ვაგზლის ბაზარში“ ივაჭრონ.

სამართალდამცავთა თქმით, მათ გარემოვაჭრეები არაერთხელ დააჯარიმეს, პროდუქტიც ჩამოართვეს, თუმცა, გარევაჭრობას მაინც აგრძელებენ.

ასეთ მომენტში თბილისის მერია დედაქალაქში გარევაჭრობის პრობლემის გადაჭრაზე პასუხისმგებლობას იხსნის. არადა, რამდენიმე წლის წინათ, როდესაც უგულავა მკაცრი და დისციპლინირებული მერის იმიჯის მორგებას ცდილობდა, გარემოვაჭრეებს ყველა უბანში დილიდან საღამომდე დასდევდნენ. ახლა კი ყველაფერი ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. პრობლემა მწვავეა ცენტრალურ უბნებშიც კი, მაგალითად, ბუდაპეშტისა და მარჯანიშვილის ქუჩებზე. მეტროს მიმდებარე ტერიტორიებზე, გარეუბნებზე და წერეთლის გამზირზე ხომ საუბარიც ზედმეტია.

თბილისის უმსხვილეს აგრარულ ბაზრობებშიც აცხადებენ, რომ გარევაჭრობა სერიოზულ პრობლემებს უქმნით. მერიაში კი განმარტავენ, რომ გარევაჭრობის პრობლემის მოგვარება მათი მოვალეობა არ არის და მათი ფუნქცია მხოლოდ საპატრულო სამსახურის ზედამხედველობაში დახმარებით შემოიფარგლებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში კი „კომერსანტს“ განუცხადეს, რომ გარევაჭრობის კუთხით დედაქალაქში სურათი არ გაუარესებულა. ძალოვანი უწყების განცხადებით, პატრული კანონის ფარგლებში მოქმედებს და თუ მოვაჭრე არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, კანონით მინიჭებულ უფლებებს იყენებს.

დიდი პრობლემებია რეგიონებშიც, განსაკუთრებით, ქუთაისში, ზუგდიდში, ფოთში. იქ გარემოვაჭრეები და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები ერთმანეთს დროდადრო უპირისპირდებიან. იმერეთის მთავარ ქალაქში აგრარულ ბაზრებსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ადამიანები ადგილობრივ ხელისუფლებას გარევაჭრობის აკრძალვას სთხოვენ. როგორც სხვადასხვა სავაჭრო ობიექტებში დასაქმებულნი აცხადებენ, წლებია გარევაჭრობა ქუთაისისთვის მოუგვარებელ პრობლემად რჩება და საფრთხე ექმნება ქალაქში ლეგალური ბიზნესის წარმოებას.

მაგალითად, ქუთაისში ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ობიექტების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის გარემოვაჭრეთა სახელდახელოდ მოწყობილი დახლები და პირდაპირ ქუჩაში გამოფენილი პროდუქტი თუ ტანსაცმელი.

ამ საკითხის მოსაგვარებლად მერიას მცირე ბიზნესის რამდენიმე ასეულმა წარმომაგენელმა მიმართა, გარევაჭრობის აკრძალვას ითხოვენ აგრარულ ბაზარსა და ბაზრობებზე მოვაჭრე ადამიანებიც.

თავის მხრივ, გარემოვაჭრეები მძიმე სოციალურ პრობლემებზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ დახლებზე მაღალი გადასახადის გამო, ქუჩებში ვაჭრობას ამჯობინებენ. რასაკვირველია გარევაჭრობის პრობლემა ყველგან მოუგვარებელია და როგორც ჩანს, საქართველოს დიდი ქალაქების ტრადიციულ ნიშანთვისებადაც იქცა.

ეკა ბაძრაძე

◎ ეკონომიკური ზრდა

„ობლის კვერი ცხვარ...“

მსოფლიო ეკონომიკაში ზრდის ტემპის შემცირება, რაც, ბუნებრივია, საქართველოს ეკონომიკაზეც უარყოფითად აისახება, ბოლო ერთი წლის განმავლობაში მთელი რიგი დიდი ინფრასტრუქტურული პროექტის დროებით შეჩერება თუ მთლიანად გაჩერება, ერთვნული ეკონომიკიდან მნიშვნელოვანი თანხების წინასწარ ამოღების მანკიერი პრაქტიკა, რომლის შედეგები ამჟამად იჩენს თავს, შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დიდი ბიზნესის ნაწილისა და პოტენციურ უცხოელ ინვესტორთა, ასე ვთქვათ, „მოლოდინის რეჟიმში“ გადასვლა, დიდად გაზრდილი სოციალური ხარჯი, სახელმწიფო შესყიდვების მცირე მოცულობა — ესაა იმ მიზეზთა არასრული ჩამონათვალი, რომელთა გამო ქვეყნის ეკონომიკის რეალური განვითარება საპროგნოზოს საგრძნობლად ჩამორჩება, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის 1,7-პროცენტიანი მაჩვენებლით „სამეზობლოში“ (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი) „თავი მოგვეჭრა“ და ბოლო ადგილზე ვიმყოფებით.

სტატისტიკური მონაცემებით, წლის განვლილ სამ კვარტალში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი აზერბაიჯანში 5,4 პროცენტით, თურქეთში — 3,5 პროცენტით, სომხეთში — 3,3 პროცენტით, რუსეთში — 1,8 პროცენტით გაიზარდა, თუმცა, ისინიც საპროგნოზოს საგრძნობლად ჩამორჩებიან, გარდა თურქეთისა, სადაც წლის ბოლოს 4,4-პროცენტიანი ნიშნულის მიღწევას გეგმავენ, თუმცა კი, თავდაპირველად მხოლოდ 3,5-პროცენტიანი მატება იყო განსაზღვრული.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდწილად შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ინვესტორების ეგრეთ წოდებულ „მოლოდინის რეჟიმში“ გადასვლას უკავშირდება, რის თაობაზე ადრეც არაერთხელ გვითქვამს, ასევე დიდი და საშუალო საწარმოების დაბალი აქტივობითაა გამოწვეული. გაცილებით მაღალია მცირე საწარმოთა ეკონომიკური აქტივობა, მაგრამ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით მათი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაში მცირეა, ამდენად არსებით ზეგავლენის მოხდენა მთლიან მდგომარეობაზე უმნიშვნელოა.

უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებისგან აბსტრაგირებულ ექსპერტთა აზრით, ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლით განპირობებულ გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური აქტივობის დაბალი დონე, უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტორების პასიურობა, ხშირად დიდად დაზარალებული მსხვილი ბიზნესის შიში, რაც უკანონოდ ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების მეტად ბუნდოვან პერსპექტივებს უკავშირდება და სხვ., გასაკვირი არ არის. ქვეყანაში ორხელისუფლებიანობის, შესაბამისად, ამით გამოწვეული სრულიად უაზრო კოჰაბიტაციის ხანის დასრულების შემდგომ კი, უახლოეს მომავალში, სულაც წლის დამლევამდე, ბევრი მათგანი მდგომარეობის გაუმჯობესების იმედს გამოთქვამს, სამომავლოდ კი გაცილებით უკეთეს პერსპექტივებს ხედავს.

ოთარ ტურაბელიძე

აშშ-ს ახალ თამაშში ირანის ჩართვის პერსპექტივები

ჩვენ ისე ვართ გართული საქართველოს შიდა პოლიტიკით, რომ აინუნშიაც არ ვაგდებთ ჩვენი ქვეყნის ახლომდებარე სივრცეში მიმდინარე პროცესებს. არადა, რა უნდა ქნას მოსახლეობამ, როდესაც ხელისუფალთა მინიშნებით მედია, ბეჭდური თუ ელექტრონული, მხოლოდ ერთ „კერძს“ სთავაზობს - ნატოსა და ევროკავშირში შესვლის?

ნატო და ევროკავშირი კარგია, მაგრამ ისეთი შორეული, რომ მსგავსი აჟიოტაჟი ნამდვილად არ ღირს. გარდა ამისა, არავინ იცის, რამდენად კარგია ნატო ან რას მოუტანს ის ქვეყანას. ზედაპირული ახსნა-განმარტება, რომელიც გვესმის, უფრო ლოზუნგებს წააგავს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ არც ნატოში, მით უმეტეს ევროკავშირში არსებულ ვითარებასთან.

თითქმის ოცი წელიწადია, ხელისუფლება სატყუარა საკენკს გვიყრის ამ ორ ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, რაც მიზანმიმართულად ხდება. ავტორი მისი დასავლეთია, კერძოდ აშშ-ი, რომლის მიზანი იყო, არის და იქნება საკუთარი პირველობისთვის ბრძოლა, მოპოვებული მსოფლიო ჰეგემონიზმის განმტკიცება და ამ გზაზე მეტოქეების დაჯაბნვა-განეიტრალება, მათი ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანა, ერთი სიტყვით, ისეთი პირობების შექმნა, მეტოქემ რომ მუდამ მეორეხარისხოვან საკითხებზე იფიქროს და არა მსოფლიოში ან რეგიონში პოზიციების განმტკიცებაზე.

აშშ-ი მეტოქეებად რუსეთსა და ჩინეთს მიიჩნევს. ამ ქვეყნების რესურსები, როგორც წიაღისეული, ისე ადამიანური იძლევა უკეთესი განვითარების პერსპექტივას. განვითარებული ქვეყნები, მით უმეტეს სამხედრო ინდუსტრიის თვალსაზრისით, საშიშია ვაშინგტონისთვის.

ორივე ქვეყანასთან აშშ-ს თითქოს კონსტრუქციული ურთიერთობა აქვს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან გლობალიზაცია მოითხოვს ამას, თუმცა, რა ხდება კულისებში – გასათვალისწინებელია. კულისებში კი მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა საკუთარი პოზიციების ისეთი განმტკიცებისთვის, რომ სხვამ ვერ შეძლოს მყარი პლაცდარმის შექმნა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აშშ-ს ადმინისტრაციამ რუსეთის დასუსტების ახალი გეგმა შეიმუშავა. მიზანი იყო ამ ქვეყნის გავლენის სფეროდან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გამოყვანა და მათი ისეთ ორგანიზაციაში გაწევრების დაპირებით გაბრუება, როგორიცაა ნატო.

მომხიბვლელმა პერსპექტივამ დააბრმავა ყოფილი საბჭოელები, განსაკუთრებით ქართველები და ნაცვლად იმისა, ვინმეს ეკითხა, როდის დადგებოდა ეს „ბედნიერი“ დღე ან რა არის ის ორგანიზაცია, სადაც შეყვანას გვპირდებიან, ტკბილ ოცნებას მიეცნენ. ნატო? რატომაც არა?! ბედნიერად ვიცხოვრებთ, დაცულებიც ვიქნებით, წამოვწვებით კაკლის ხის ჩრდილში - ნატო გვაჭმევს და გვასმევს, როგორც ღმერთის წილხვედრ ქვეყანას.

არავის უფიქრია, რომ იქ შესასვლელად მკაცრი გამოცდების ჩაბარება იყო საჭირო. არც აშშ-ს შეუწუხებია თავი ჩვენი ინფორმირებისთვის, ცხადია, შეგნებულად და არა გულმავიწყობით.

ის, რომ ნატო ამ ხნის განმავლობაში ჩვენთვის არ გამოჩნდებოდა, კარგად იცოდა ნატოს კარში ჩამდგარმა აშშ-მა, მაგრამ მისი მიზანი სწორედ ეს იყო – საქართველოსთვის „ჭრელი პეპელას“ (ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები) ბედის გაზიარება.

საქართველოს მუდამ უნდა ეფიქრა ნატოზე, დასავლეთს მუდამ უნდა ეთქვა საქართველოსთვის – ნატოში მიგიღებთ, მაგრამ საქართველო დარჩებოდა საწყის პოზიციაზე, ოღონდ რუსეთიდან შორს. არც ვაშინგტონს და არც ბრიუსელს არ ჰქონდა სურვილი პრობლემებით დახუნძლული, ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის შვილობის.

დასავლეთის დაკვეთა საშური მუყაითობით შეასრულეს შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებამ. მათ არც ახალი მთავრობა ჩამოუვარდება. საკუთარი ხალხის მოტყუებაში ისინი ისე იყვნენ და არიან დაოსტატებულნი, ტყუილი რომ მართალი ჰგონიათ.

აშშ-მა მიაღწია მთავარს - მან ისე დააპირისპირა ნატოში გაწევრების იმედზე მყოფი საქართველო რუსეთს, რომ ეს უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა მას.

საქართველოში რუსეთის ხსენებაც რომ ერიდებათ, სწორედ აშშ-ს პროპაგანდისტური მანქანის მოხერხებული მუშაობის შედეგია. ჩვენთვის დაიკარგა რუსეთი – საუკუნეთა განმავლობაში, ცუდად თუ კარგად, ჩვენთან მდგომი –- ნათესავური, რელიგიური, კულტურული კავშირებით.

დაიკარგა რუსეთი და არსად ჩანს ნატო. გამოჩნდებაო – გვიმტკიცებს დღევანდელი ხელისუფლება – გუშინდელის კურსის გამგრძელებელი. „იმდენი, გვერდები არ აგიდგეთო“, – იტყოდა შევარდნაძე ამ კომიკურ ვითარებაზე. იტყოდა დღეს! გუშინ კი, არა!

აშშ-ს პოლიტიკა არ არის ცალსახა და უზიგზაგო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღარ იქნებოდა ჰეგემონი. აშშ თამაშობს და ამ თამაშში ითრევს სხვას. როგორც ჩანს, მან ახალი თამაში წამოიწყო – ახლო აღმოსავლეთის კარტის გადალაგებით და ამ თამაშში ირანის ჩართვით.

ირანი ის ქვეყანაა, რომელმაც 35 წლის განმავლობაში, ბევრი სიმწარე იგემა აშშ-ს მზაკვრული პოლიტიკიდან. ისლამური რევოლუციიდან დაწყებული, დღემდე, ირან-აშშ-ს შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა, შექმნილია მთელი რიგი ეკონომიკური ბარიერები. დღემდე, აშშ-ს ირანი არის ნომერ პირველი მტერი, ხოლო ირანისთვის – აშშ ნომერ პირველი ურჩხული.

აშშ-თან ირანის შაჰის მჭიდრო მეგობრულ-პარტნიორული ურთიერთობებიდან, მტრულ რელსებზე გადასვლამ, რაც 1979 წლის რევოლუციის შემდეგ განხორციელდა, ირანის საზოგადოება გამოაწრთო, საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნა, ააშენებინა ისეთი ქვეყანა, რომელიც მთელი რიგი პარამეტრებით სამაგალითოა რეგიონში.

ამერიკა-დასავლეთის მუდმივი საფრთხის ქვეშ მყოფი ირანი მუშაობდა არა მარტო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გასავითარებლად, არამედ სამხედრო მშენებლობის ჩამოსაყალიბებლად, საკუთარი ენერგეტიკული გეგმების შესაქმნელად, ბირთვული კვლევების განსახორციელებლად.

ამერიკისთვის საშიში აღმოჩნდა ბირთვულ ენერგიაზე მომუშავე ქვეყანა, ვინაიდან გზა მშვიდობიანი ატომიდან ბირთვულ ბომბამდე არცთუ შორია. რა ხერხს არ მიმართეს ვაშინგტონმა და მისი წაქეზებით, მისმა მოკავშირე ქვეყნებმა ირანის ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად დასავლეთის და ისრაელის პერმანენტული მუქარისა – ირანის კვლევითი ლაბორატორიების რაკეტებით განადგურების ჩათვლით – ირანი აგრძელებდა მშვიდობიან ატომზე მუშაობას. ირანის ხელისუფლებას არაერთხელ უთქვამს, რომ ის არ ამზადებს ბირთვულ ბომბს, მაგრამ ვის სჯეროდა ამის?!

ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ, რომელმაც კონსერვატორი აჰმადინეჟადი ჩაანაცვლა, განსხვავებული, უფრო პრაგმატული პოზიცია დაიკავა. მისმა გამოსვლამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე უკვალოდ არ ჩაიარა. ის უმალ გახდა მსჯელობის საგანი. გარდა ამისა, ობამა-როუჰანის სატელეფონო საუბრის ინიციატორი. როუჰანიმ განაცხადა, რომ მზად არის „ექვსეულთან“ (გაეროს 5 მუდმივი წევრი და გერმანია) შეწყვეტილი მოლაპარაკებების აღსადგენად. ნათქვამმა გაჭრა. დასავლეთი დათანხმდა ჟენევის მოლაპარაკებების განახლებას ირანის მხარის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მაინც რა მოთხოვნებს აყენებს ირანი? უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის მხრიდან იმის აღიარებას, რომ ირანს უფლება აქვს ჩაატაროს სამშვიდობო ბირთვული კვლევები, 20%-მდე გაამდიდროს ურანი ენერგეტიკისა და მედიცინისთვის. ირანი ითხოვს გამდიდრებული ურანის თავის ტერიტორიაზე დატოვებას.

ირანი, ოფიციალურად აცხადებს, რომ არ შექმნის ბირთვულ ბომბს და აღნიშნული დაპირების გადასამოწმებლად მზად არის საერთაშორისო ატომური ენერგიის სააგენტოს ექსპერტების მასპინძლობისთვის. აღნიშნულ წინადადებათა გათვალისწინების შემთხვევაში, ირანი მოითხოვს მის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნას – განსაკუთრებით ნავთობის ექსპორტსა და საბანკო სისტემაზე.

ჟენევის შეხვედრა იმდენად პრაგმატულად წარიმართა, რომ ნაცვლად დაგეგმილი 2 დღისა, მესამე დღესაც გაგრძელდა. მესამე დღეს შეხვედრის დონეც აიწია და, ექსპერტებთან ერთად, „ექვსეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრებიც ჩაერთვნენ მოლაპარაკებაში. გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკებებიც, მათ შორის ამერიკა-ირანის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელთა შორის, რომელიც 8 საათს გაგრძელდა. როგორც ჩანს, 35-წლიანმა პაუზამ ერთმანეთის მონატრება გამოიწვია - ეს, უბრალოდ, ხუმრობით.

სენსაციური გამოდგა ჟენევის რაუნდი, მართალია, ერთობლივი დოკუმენტი არ იქნა მიღებული, მაგრამ აღარაფერი აკლდა. სრული შესაძლებელია, რომ ასეთს ხელი მოეწეროს 20 ნოემბერს, როდესაც გაგრძელდება მოლაპარაკება.

ახლო აღმოსავლეთში, ახალი ვითარება იქმნება - ირანის წინ წამოწევით. არც ისაა გამორიცხული, რომ ამერიკა-ირანს შორის აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა, რასაც, უდავოდ, მოჰყვება ეკონომიკური და სხვა კავშირების აღდგენა. და თუ ამას ექნა ადგილი, ირანის როლი რეგიონში სულ სხვანაირად წარმოჩნდება.

ამერიკა-ირანს შორის ატმოსფეროს დათბობა მისასალმებელია უპირველესად იმიტომ, რომ თავიდან იქნება აცილებული სამხედრო დაპირისპირება დასავლეთსა და ირანს შორის. აშშ-ს აღარ დასჭირდება ანტისარაკეტო სისტემების განთავსება ევროპაში, რომელიც, თვით ამერიკის განმარტებით, ირანის რაკეტებისგან დაიცავს ევროპას. დათბობა ხელს შეუწყობს სირიის ომის დასრულებას, სირიიდან შიიტი მეომრების (რომლებიც ასადის მხარეს იბრძვიან) გამოყვანას. ახლო აღმოსავლეთსა და არაბულ სამყაროში შექმნილი ფეთქებადი ვითარების ჩაცხრობას და ა.შ. ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს?

ერთი შეხედვით– არაფერი. მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, ვინაიდან ისრაელი და საუდის არაბეთი (ორივენი აშშ-ს სტრატეგიული მოკავშირეები არიან) ნეგატიურად უდგებიან ამერიკა-ირანის ურთიერთობათა აღდგენას. ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ ირანი არ დაიცავს ხელშეკრულების პირობებს და გააგრძელებს ბირთვულ ბომბზე მუშაობას. ერთადერთი გზა ირანისთვის არის სანქციები. სწორედ სანქციებით უნდა ააღებინოს ხელი ამერიკამ ირანს ურანის გამდიდრებაზე.

ისრაელს არც საუდის არაბეთი ჩამოუვარდება. ეს ქვეყანა კარგა ხანია იბრძვის რეგიონის ლიდერობისთვის. მისი აზრით, ამ გზაზე მას ირანი ეღობება. ირან-საუდის არაბეთის ინტერესები იკვეთება სირიაში. საუდის არაბეთი, საერთო ჯამში ცივად არის განწყობილი ირანის მიმართ, ხოლო ირანის სავარაუდო ბირთვულ ბომბს პირად გამოწვევად აღიქვამს.

საუდის არაბეთის მეფის აბდალას ამერიკელ დიპლომატებთან გაკეთებული განცხადება – სუნიტური საუდის არაბეთი ვერ აიტანს შიიტური ირანის ბირთვულ ბომბს და თვით შექმნის ასეთს, ყასიდად ნათქვამი სიტყვები არ არის. ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-ს მიხედვით, ერრიადი ბირთვულ ბომბს პაკისტანს ამზადებინებს. მართალია, ორივე ქვეყანა მტკიცე უარს აცხადებს ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მაგრამ „ბი-ბი-სი“ სულაც არ არის „ყვითელი“ ტელეკომპანია.

ირან-აშშ-ს შორის დაძაბულობის განელება, წესით, არც რუსეთს უნდა აწყობდეს, ვინაიდან პერსპექტივაში, მას შეიძლება მოჰყვეს დათბობა, მრავალმხრივი კავშირების აღდგენა და, მათ შორის, სამხედრო.

ირან-აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობის რეანიმაცია ძვირად დაუჯდება რუსეთს, ვინაიდან ირანში განლაგებული ამერიკული რაკეტების საწინააღმდეგოდ საჭირო გახდება რუსეთის სამხრეთში ანტისარაკეტო სისტემის ჩამოყალიბება, რაც მილიარდებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, რუსეთს საფრთხე შეექმნება კასპიის ზღვაზეც, სადაც, სრული შესაძლებელია, აშშ-ს სამხედრო-საზღვაო გემების გამოჩენაც.

ირანთან აშშ-ს ურთიერთობის დათბობით კარდინალურად შეიცვლება ცენტრალური აზიისა და კასპიის ენერგომატარებლების ბედიც. რუსეთის ენერგომატარებლებს სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდება ირანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგომატარებლების სახით.

ირან-აშშ-ს მომავალმა (სავარაუდო) ალიანსმა საბოლოოდ შეიძლება გადაწყვიტოს რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. დასავლეთის მხრიდან რუსეთის საზღვრებს შემორკალულ ნატოს ალიანსს ბუნებრივად დაემატება სამხრეთის რკალი. ეს გეგმა არა მარტო რუსეთის წინააღმდეგ იმუშავებს, არამედ აშშ-ს მეორე მეტოქის, ჩინეთის წინააღმდეგაც. რას მოიმოქმედებს რუსეთი აღნიშნული, მისთვის ნეგატიური, გეგმის დასაპირისპირებლად, ძნელი გამოსაცნობია.

უპირველეს ყოვლისა, რუსეთი შეეცდება დიპლომატიური აქტიურობის გზით ირანსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ისეთი კავშირების წარმოებას, რომელიც წინ აღუდგება ვაშინგტონის გეგმას. სხვა გზა მას არ დარჩენია.

მეორე მხრივ, რუსეთისთვისაც მისაღები უნდა იყოს ამერიკა-ირანის ურთიერთობათა გაუმჯობესება, ვინაიდან ის გაუხსნის რუსულ ბიზნესს გზას ირანში თავისუფალი მოქმედებისკენ. დღეს ამ მხრივ ვითარება შეზღუდულია, ვინაიდან გლობალიზაციის წყალობით, რუსეთ-აშშ, რუსეთ-ევროკავშირი, ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთზე გადაჭდობილი, რომ ნებისმიერი რუსული ინიციატივა უოლ-სტრიტზე ფიქსირდება. ირანის სანქციების მოხსნის შემთხვევაში, მსგავსს ადგილი არ ექნება.

გარდა ამისა, მოსკოვმა უნდა იმედოვნოს, რომ ირანის დღევანდელ პოლიტიკურ სისტემასა და დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს შორის ისეთი დიდი განსხვავებაა, რომ მისი უცბად შეცვლა წარმოუდგენელია. ირანის ისლამურ ხელისუფლებას კარგად ახსოვს აშშ-ს მხრიდან, 35 წლის განმავლობაში მიყენებული ჭრილობები, რომელთა დავიწყება, ერთი ხელის მოსმით, შეუძლებელია. ვაშინგტონ-თეირანს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების პერიოდშიც არ გაქრება ერთმანეთის მიმართ არსებული ეჭვი.

აშშ უდავოდ, შეეცდება ირანის პოლიტიკური სისტემის შეცვლას, ირანის გარეთ მყოფი ირანელების დახმარებით და ქვეყნის შიგნით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებით. ცხადია, ეს უცბად არ მოხდება. მას არაერთი წელი დასჭირდება, მაგრამ აშშ მუდამ მზად იქნება ამ გეგმის განსახორციელებლად.

დაბოლოს, რით არის გამოწვეული აშშ-ს ესოდენი ინტერესი ირანის მიმართ? ირანს ხომ წინათაც არაერთხელ დაუსვამს მსგავსი წინადადებები დასავლეთისთვის?

საქმე საბაჟო კავშირსა და ევრაზიულ კავშირშია. როგორც ცნობილია, ირანმა სურვილი გამოთქვა აღნიშნულ ორგანიზაციებში შესვლის და არა მარტო ირანმა, თურქეთმა, ინდოეთმა, ვიეტნამმა, სხვებმაც. შანხაის ორგანიზაციასთან ერთად, რომელშიც ჩინეთ-რუსეთი ლიდერობს, ევრაზიული კავშირი დიდი გამოწვევაა აშშ-ს და ევროპისთვის – ისეთი, რომელიც დაასამარებს აშშ-ს ჰეგემონიზმს.

ვაშინგტონი ასწრებს მოვლენებს და ირანის მოხიბლვით ცდილობს ხელი აღებინოს მას ევრაზიულ კავშირში და შანხაის ორგანიზაციაში შესვლაზე. რამდენად გამოუვა ვაშინგტონს ეს ჩანაფიქრი, მომავალი გვიჩვენებს. ის მომავალი, რომელიც დიდთა დაპირისპირებას არ გამორიცხავს. და როდესაც დიდთა ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება, იქ პატარებს, ისეთებს, როგორებიც ჩვენ ვართ, მხედველობაში ნაკლებად მიიღებენ.

მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მოუწევს მუშაობა საქართველოს გამოუცდელ ხელისუფლებას. შეძლებს ის გამოწვევების ატანას?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!

ადამიანი იწყება ღირსებიდან

დღეს ძილის დრო და უფლება არა გვაქვს!

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“ (ზოთა რუსთაველი)

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ (ილია ჭავჭავაძე)

ჩემი ღრმა რწმენით, ეს მომენტი გახდა ბატონი ბიძინასათვის სამოქალაქო საზოგადოების „მამების“ მიმართ იმედის გაცრუების პირველი სერიოზული პრეცედენტი, რომელსაც შემდეგ მოჰყვა მეორე, მესამე..., მეათე..., მეასე და ა.შ., იმედგაცრუებათა მთელი კასკადი, რამაც დააჩქარა მისი პრემიერ-მინისტრობიდან საზოგადოების წევრის გაცილებით უფრო საპასუხისმგებლო და რთულ თანამდებობაზე გადასვლის გადაწყვეტილების მიღება. ეს არ გახლავთ უადგილო ირონია, ან უკბილო ხუმრობა, რამეთუ **ჭეშმარიტი დემოკრატიის უმთავრესი დებულებით, დემოკრატიულ სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობა, როგორც თქვენთვის კარგადაა ცნობილი, ზუსტად მოქალაქე გახლავთ, ხოლო იმ საზოგადოებაში, სადაც დემოკრატია მხოლოდ ჩანასახშია, გაზრდასა და განვითარებას საჭიროებს, იმ მოქალაქეობრივ თანამდებობას, რომლის დაკავებასაც ივანიშვილი აპირებს, ამ ჩანასახის გაზრდა-განვითარების ხელშეწყობისათვის, გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება.**

საკაშვილის „ვირტუალური“ სახელმწიფო, სადაც არ იყო სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი უპირველესი ნიშნები – სამართალწარმოება, ეკონომიკური საფუძველი და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ისევე როგორც „ვირტუალური“ დემოკრატია, სადაც არ არსებობდა ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი – ხალხის ძალაუფლება, მადლობა უფალს, წარსულს ბარდება.

საქართველოს მოსახლეობამ, რომელსაც სააკაშვილმა გაძვალტყავებული, ზურგგადაღლეტილი ცხენივით დაოთხილს ლაგამი ამოსდო, მათრახის უმოწყალო, ულმობელი ტყლაშუნით ცხრა წლის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დააჯირითებდა, უფსკრულის პირას მივარდნილმა და ბიძინა ივანიშვილის შეძახილზე ყალყზე შემდგარმა თავისი მწვალებელი ზურგიდან კი გადმოაგდო, მაგრამ ვერ მოიშორა, რადგან გადმოგდებულს, **მიწაზე მფორთხავს, შიშისა და სიმწრისაგან დუუმორეულს** (ნაცნობი სურათია, არა?), **ძალაგამოცლილმა, საბოლოოდ საკადრისი წიხლი ვეღარ ჩააზილა და ჩაბღუჯული აღვირი ხელიდან დღემდე ვერ გააშვებინა. სამოქალაქო საზოგადოებას ეს მაინც რომ მოეხერხებინა დამოუკიდებლად, ბიძინა ივანიშვილის ჩარევის გარეშე, ეჭვი არ მეპარება, იგი, სულ მცირე ერთი წლით, კიდევ დარჩებოდა ხელისუფლების სათავეში.**

დღეს იმაზე ფიქრიც კი საზიანოა, რომ პრეზიდენტობისას საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ მებრძოლი სააკაშვილი, პრეზიდენტობის დაკარგვის შემდეგ დაწყნარდება და შეწყვეტს თავის მავნებლობას. დღესავით ნათელია, რომ ხელისუფლებიდან ჩამოცილების შემდეგ, თავის მიერ გაწვრთნილ-გავარჯიშებული „ნეონაცისტურ-ბოლშევიკური“ სინდიკატის მეშვეობით, რომლის ნაწილი დღეს პარლამენტშია მოკალათებული, ხოლო უფრო დიდი ნაწილი – ძალოვან სტრუქტურებსა და რეგიონებში, გაცილებით მეტი გააფთრებითა და სიბოროტით შეუტევს იმ კეთილშობილ ნერგს, რომლის დაცვისა და გაზრდა-განვითარებისათვის ზრუნვაში დახმარებას და თანადგომას ივანიშვილი და მისი გუნდი ერთი წელი ამაოდ ელოდება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

სამუშაო ადგილს ბიძინა ივანიშვილი ზუსტად იმიტომ იცვლის ბატონო ვახტანგ, რათა შექმნას და ჩამოაყალიბოს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისათვის საჭირო ის ინსტიტუტები და ბერკეტები, რომელთა არარსებობასაც თქვენ უჩივით. ეს მექანიზმები თავისით არ შეიქმნება, ვერც 23 წლის განმავლობაში „ჩოკინას“ როლში მყოფი დავრდომილი და მისავათებული მოსახლეობა ისწავლის დამოუკიდებლად, დაუსმარებლად ბედაურ ცხენზე შეჯდომას. ბიძინა ივანიშვილი მთელი წლის განმავლობაში ამაოდ ელოდა თქვენგან და თქვენი კოლეგებისგან ინიციატივასა და კრეატივს ამ უმნიშვნელოვანესი და ქვეყნისათვის საციცოცხლო პროცესების დასაწყებად, პასუხად კი თანადგომის ნაცვლად, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სიღრმისეული განსჯის უუნარობისა და მათი განქიქების მეტი ვერაფერი დაინახა.

ამიტომ, ჩემი ღრმა რწმენით, ბატონი ბიძინას გადაწყვეტილება არა თუ დროულია, არამედ დაგვიანებულიც კია. მით უმეტეს, რომ, მან უკვე შეჰქმნა და მის მიერ ნახსენებ ბეწვის ხიდზე გამოატარა გონიერი და პროფესიონალი მენეჯერებით დაკომპლექტებული საქმიანი გუნდი (ჩემი აზრით სამი-ოთხი მინისტრის გამოკლებით), რომელსაც ქვეყნის დემოკრატიული, სოციალურ-ეკონომიური განვითარება ხელეწიფება, რომელსაც უეჭველად ჩაუყენებს სათავეში, დღევანდელი საქართველოს პირობებში, ოპტიმალური ორგანიზატორული და ადამიანური ღირსების მქონე პიროვნებას, თავის მოღვაწეობას კი განაგრძობს სამოქალაქო საზოგადოების შუაგულში, იქ, სადაც დღეს გაცილებით მეტადაა საჭირო მისი ალღო და გამჭრიახობა, ანალიტიკური და შემოქმედებითი ტალანტი.

ბევრი სხვა ექსპერტის მსგავსად, თქვენც ამახვილებთ ყურადღებას კოალიციის „სიჭრელეზე“ და შინაარსებზე, რაც ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ამ პოლიტიკური გაერთიანების დაშლა-დანაწევრებას გამოიწვევს. რამდენიმე ხანი დაძაბულად ვიფიქრე, თუ რატომ უნდა დაიშალოს კოალიცია, ან, თუ ღმერთი გაუწყრებათ და დაიშლებიან, რა არის ამაში ცუდი და საგანგაშო. გამოგიტყდებით, ვერც პირველ შეკითხვას მოვუძებნე გამართლება და ვერც მეორე შემთხვევაში დავინახე შეშფოთების მიზეზი. ალბათ, ან დრო არ მეყო მოსაფიქრებლად, ან ჩემი გონება ვერ შესწვდა გამოცდილი ექსპერტების აზროვნების ჰორიზონტს, მაგრამ, რახან ამდენი გავისარჯე, გადავწყვიტე ჩემი მოკრძალებული მოსაზრება მოკლედ ამ საკითხებზეც მოგახსენოთ: დავიწყებ ბატონი კობა დავითაშვილის გახმაურებული ისტორიით, რომელიც ყველასთვის და მათ შორის თქვენთვისაც ზედმიწევნითაა ცნობილი. ეს ადამიანი, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით ნაცმოძრაობისაგან ნაცემ-ნაგვემი და გვერდზე მოსროლილი, ბიძინა ივანიშვილმა შეიკედლა, სულიერი და ფიზიკური მკურნალობის პერიოდში, დაუსწრებლად დასვა პარლამენტში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – დეპუტატობა აჩუქა. ფიზიკურად განკურნებულს (როგორც ჩანს, სულიერი მკურნალობის კურსი ბოლომდე ვერ დაასრულა), ჯერ პროვოკატორ რატიანთან დებატებისას უმტყუნა ნერვებმა და ღია სატელევიზიო ეთერში მუშტი-კრივი გამართა, შემდეგ ერთ თანაგუნდელ მინისტრს დაეტაკა საჯაროდ, შემდეგ – მეორეს, შემდეგ პარლამენტში მის მიერ ინიცირებული სულელური კანონპროექტის დამწუნებელ თავისივე პოლიტიკური გუნდის წევრებს გაებუტა, კოალიციიდან გაიქცა, თავის „გამაცოცხლებელს“ დაუპირისპირდა და პრეზიდენტობა მოინდომა, რითაც არა მარტო საკუთარი პოლიტიკური კარიერა დაასამარა, არამედ თავისი ადამიანური ღირსებაც მიწასთან გაასწორა.

მე არ ვიცი კიდევ რა აზრები ჰქონდა ჩაღრმავებული ბატონ დავით საგანელიძეს თავის რეპლიკაში, როცა დავითაშვილის კოალიციიდან წასვლა დაღვინების პროცესში ღვინის დასაწმენდად „მთხლის“მოცილებას შეადარა, მაგრამ მის სიტყვებს სრულად ვუერთდები, ხოლო დამატებით ეპითეტებად დავითაშვილის პიროვნების შესამკობად „ბალასტს“, „ნაგავს“ და „უმადურსაც“ კი გამოვიყენებდი, რადგან, სწორედ უმადურობა და ღალატი მიმაჩნია ადამიანის უკიდურესი ზნედაცემულობის მაჩვენებლად.

რაც შეეხება კოალიციის დაშლას, როგორც ამბობენ, „ზოგი ჭირი მარგებელია“. საპრეზიდენტო არჩევნებში ტვინნაღრძობი დავითაშვილის მხარდამჭერთა მოსალოდნელი პროცენტული მაჩვენებელი, როგორც კოალიციაში შეყუჟულ პარტიებს, ასევე „თბილი ბუდიდან“ აფრთხიალების მოსურნე ცალკეულ ინდივიდებს ვიმედოვნებ, ორი წლის წინანდელ რეალობაში დააბრუნებს და ნათლად დაანახვებს მათ ფაქტობრივ „საბაზრო ღირებულებას“, რეალურ რეიტინგს და ავტორიტეტს საზოგადოებაში, კოალიციის გარეშე.

* * *

ორიოდე სიტყვით შევეხები ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს, არა ცხრა წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის დამაქცეველი ფალსიფიკატორი ნაცბანდის უსინდისო სიცრუეთა საპასუხოდ, არამედ ამ სიცრუის მორევში მოცურავე საზოგადოების ნაწილისა და იმ “ეკონომიკური აზროვნების გიგანტების“ დასამშვიდებლად, რომლებიც ჯერ კიდევ ნაცბანდის ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და აყვავების შესახებ გამოხატავენ თავიანთ ნოსტალგიას.

პატივცემულო ბატონებო, თქვენ, ალბათ, ყველანი „ჩინური ჩაის“ სმაზე ხართ გადასული, რადგან ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლისთანავე მსოფლიოში განთქმული „შავი ბაიხის“ ჩაის წარმოება (ერთადერთი ჩაის პროდუქტი, რომელიც ექსპორტზე მიდიოდა) ქვეყანაში საერთოდ შეწყდა, ხოლო ჩაის მრეწველობით განთქმულ საქართველოში, სოფლის მეურნეობის ამ ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტის წარმოება შევარდნაძის მმართველობის პერიოდთან შედარებითაც კი 4,6-ჯერ შემცირდა. იქნებ, ამ „განვითარების“ შედეგად გურიისა და სამეგრელოს რეგიონებიდან საარსებო წყაროდაკარგული და უცხო ქვეყნებში ლუკმა-პურის საშოვარზე გადახვეწილი ქართველების რაოდენობაც დაგეთვალათ? იქნებ, ის თორმეტნახევარი მილიონი საგარეო ვალი გეცოტავებათ, სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს რომ დაუტოვა გასასტუმრებლად?

არ ვიცი, მიაქცია თუ არა ყურადღება დარბაზში შეკრებილი ბიზნესსაზოგადოების რეაქციას ბიძინა ივანიშვილმა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, საქართველოს ბიზნესმენებთან პირველ შეხვედრაზე, როდესაც ჩვეული სულგრძელობით საგადასახადო მოსაკრებელთა გაზრდა „ნაციონალურ მოძრაობას“ მიღწევად რომ ჩაუთვალა, ეს ძალზე საინტერესო მომენტი გახლდათ. თუ გამონახავთ დროს იმისათვის, რომ ეს კადრები დაატრიალოთ, დინახავთ, რომ ბიზნესმენთა ერთ ნაწილს ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა, ხოლო უფრო დიდ ნაწილს სიმწრის ღიმილმა დაუძაბა სახე.

ალბათ, ძნელი ასახსნელი არ არის, რასთან გვქონდა საქმე, რატომ გაიყო ეს ხალხი იმ მომენტში პირობითად ორ ჯგუფად. განსაკუთრებით დღეს, როცა მთელმა საქართველომ იცის, როგორ კრებდნენ გადასახადებს, როგორ ატერორებდნენ, ძარცვავდნენ და გლეჯდნენ „ნაცები“ ბიზნესმენთა უდიდეს უმრავლესობას ცხრა წლის განმავლობაში.

იმ დღეს კი ბატონ ბიძინას მათი შექება **„მართალი“** გამოუვიდა – ბიზნესიდან „გადასახადების“ აკრებით ისე გამარჯვდნენ და დახელოვნდნენ „ნაცბანდელები“, რომ მილიარდნახევარი ლარი, როგორც შემდეგ გაირკვა, წლინახევრის წინსწრებითაც კი აკრიბეს, წინასაარჩევნო პიარში დახარჯეს და ბიძინა ივანიშვილის მთავრობას ფარღალალა ბიუჯეტი დაუტოვეს!

ეს ბოლო პერიოდია, სულ „გულდამძიმებული“ დავდიოდი ნაცბანდას მიტმასნილი „ეკონომისტების“ სულშემძვრელი სტატისტიკური მონაცემების მანიპულირებით, სანამ გიორგი აბაშიშვილმა – ბიზნესის ადმინისტრირების დირექტორმა (ღმერთმა დალოცოს) არ გამოამზეურა საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორც თვითონ ამბობს, „დემაგოგიის გარეშე“. გულზე მომეშვა, რადგან საქმე სულ წყალწაღებულად არ ყოფილა, უფრო მეტიც, თურმე უკლებლივ ყველა მაკროეკონომიკური მაჩვენებელი სინამდვილეში გაუმჯობესებულია, ნაცბანდის ყბადაღებული „უმუშევრობაც“ კი, ნაცვლად გაზრდისა – შემცირებული ყოფილა.

ხუმრობა იქით იყოს და სახელისუფლო ეკონომიკური ჯგუფი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით დიდი გულმოდგინეობითა და პროფესიონალიზმით, ურეკლამოდ და უპიაროდ ამუშავებს საქართველოს ეკონომიკური აღორძინების უნიკალურ მოდელს, რომელსაც მსოფლიო ეკონომიკაში ანალოგი არ გააჩნია. თავს არ შეგაწყენთ იმ სიკეთეთა ჩამოთვლით, რაც უკვე განხორციელდა განვლილი რთული წლის პირობებში, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების „თანადაფინანსების ფონდი“, რომელიც რამდენიმე მილიარდით განისაზღვრა, და, რომელმაც უკვე დაიწყო ფუნქციონირება, უმძლავრესი ბერკეტი გახდება საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების შემოსადინებლად. როგორც ივანიშვილი აცხადებს (და ეს სინამდვილეს შეეფერება): უკვე გახსნილია სასოფლო-სამეურნეო და გადამმუშავებელი მრეწველობის ორასზე მეტი დიდი და მცირე საწარმოს დაფინანსება; მიმდინარეობს მეურნეობის სხვადასხვა დარგში მასშტაბური საინვესტიციო პროექტების დამუშავება; ჩემთვის საკმაოდ დაწვრილებით არის ცნობილი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის უპრეცენდენტო მასშტაბისა და შინაარსის უმსხვილესი კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო და აგროსამრეწველო საინვესტიციო პროექტი „საქართველოს სამხრეთის აგროპარკის“ სახელწოდებით, დაგეგმილი 5,25 მილიარდი ამერიკული დოლარის მოცულობის ბიუჯეტით და 2,9 მილიარდი ამერიკული დოლარის მოცულობის პირდაპირი გარე ინვესტიციებით, რაც მომავალი წლის გაზაფხულიდან უნდა განხორციელდეს საქართველოს სამხრეთ ნაწილში და ითვალისწინებს საქართველოს ისტორიული ძირძველი კუთხეების სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებას 5-6 წლის განმავლობაში ევროპის მოწინავე აგროსამრეწველო სახელმწიფოების: ჰოლანდიის, ნიდერლანდების, დანიისა და ირლანდიის დონეზე. პროექტი, რომლის ბიზნეს-გეგმის დამუშავება და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიში თითქმის ექვსი თვის წინათ დაიწყო, უკვე დასასრულს უახლოვდება და უახლოესი 2-3 თვის განმავლობაში წარედგინება საქართველოს საზოგადოებრიობას.

ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე, იცოდა რა, საქართველოს ეკონომიკაში არსებული რეალური (არა სააკაშვილის მიერ დახატული) სიტუაცია, ქვეყნის მოსახლეობას აუწყა, რომ მისი გუნდის მმართველობის პირველი წელი ქვეყნის ეკონომიკისათვის იქნებოდა რთული, მეორე წელს გამოჩნდებოდა რეალური ეკონომიკის ზრდის ტენდენციები, ხო-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 218-220

აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!

ლო მესამე წელი გახდებოდა საქართველოს ეკონომიკის ნამდვილი აღმავლობის დასაწყისი. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების შემდგომი წლის განმავლობაში ბიძინა ივანიშვილის მთავრობას არა მარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მიმართულებითაც, ნაცბანდის მავნებლობის გამო პერმანენტულად უამრავი პრობლემები ექმნებოდა, ამ ქმედითუნარიანმა პროფესიონალურმა გუნდმა ჭეშმარიტად შეუძლებელი შეძლო და მომავალ აღმასვლას ჩაუყარა საფუძველი.

მე კი ისღა დამრჩენია შეგახსენოთ, რომ ნაყოფიანი ხის მოჭრას წუთები სჭირდება, ხოლო ხის დარგვას, მოვლას, გაზრდას და ნაყოფის მიღებას — წლები. ის, რაც 23 წლის განმავლობაში ინგრეოდა და იქცეოდა, 1-2 წელში ვერ აშენდება, მაგრამ, თუ გვერდში დავუდგებით და მხარში ამოვუდგებით ღვთისგან მოვლენილ მამულიშვილს, აღმშენებლობის პროცესი დაჩქარდება და გაძლიერდება.

თავის გამოსვლებში ბიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე „დუბაის მაგალითი“ ახსენა და დაიწყო საზოგადოებაში ქილიკი: — „ერთმა შვეიცარიისკენ მოგვიწოდა (შევარდნაძე), მეორემ სინგაპურისკენ (სააკაშვილი), მესამე არაბეთის უდაბნოში გვიპირებს დახრჩობასო“. შევარდნაძისა და სააკაშვილის სულში „რა ეშმაკებიც“ ისხდნენ და სხედან, საქართველოს საზოგადოებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი. რაც შეეხება ბატონ ბიძინას, რამდენადაც ზედმიწევნით მწამს მისი გულწრფელობა და გონიერება, და რამდენადაც საკმაოდ კარგად ვიცნობ არაბეთის გაერთიანებული საამიროების ხანმოკლე (შეიქმნა 1968 წელს) და მისი შემქმნელი „ბედუინების“ მრავალსაუკუნოვან ისტორიას, თავს უფლებას მივცემ, შევეცადო იმის ახსნას, თუ რას შეიძლება მოეხიბლა იგი, ამ, მსოფლიოში თითქმის ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიის თითქმის 80% უსიერ და დაუსახლებელ უდაბნოს უჭირავს.

ღმერთმა მარგუნა ბედნიერება, გაერთიანებული საამიროების ორ დიდ ქალაქში დუბაისა და აბუ-დაბში, რომლებიც უკვე ორი ათეული წელია, მსოფლიო არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშების რეალიზაციის პოლიგონად იქცნენ, ორი მასშტაბური არქიტექტურული პროექტი შემექმნა. ერთ-ერთი მათგანის (აბუ-დაბის საერთაშორისო საჭადრაკო ცენტრი) რეალიზაციის პროცესში რამდენჯერმე მომიწია არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტთან კირსან ილუმჟინოვთან ერთად მოგზაურობა. ამ ადამიანს მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ, მისი „თანამგზავრის“ სტატუსმა მომცა საშუალება, მოვხვედრილიყავი ბატონი კირსანის მეგობრების, ამ არაბული სახელმწიფოს მმართველი შეიხების ოჯახებში და „ხელით შევხებოდი“ იმ საოცრებას, რამაც ეს განათლებული, უაღრესად ინტელექტუალური ადამიანები, რომელთა უახლოესი წინაპარი-ბედუინები ნახევარი საუკუნის წინათ მკაცრ უდაბნოში, კარვებში ცხოვრობდნენ, და წერა-კითხვაც კი არ იცოდნენ, მსოფლიოში ერთ-ერთი აყვავებული სახელმწიფოს მესვეურებად აქცია.

სიტყვის ოსტატობა არ მეყოფა გადმოგცეთ ის უდიდესი სითბო, სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთზრუნვა და თუ გნებავთ, ურთიერთთავგანწირვისათვის მზადყოფნა, რაც ამ ოჯახებში სუფევს. მე ეს ყველაფერი დავინახე მათ თვალებში, მათ მოქმედებაში, მანერებში, და როცა მოგვიანებით, ინტერესით ვკითხულობდი შვიდი საამიროს მიერ არაბეთის გაერთიანებული ემირატების სახელმწიფოდ შექმნისა და შემდგომი განვითარების ისტორიას, სადაც ავტორები ასაბუთებენ, რომ ამ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის ჭეშმარიტი საფუძველი გახდა არა ნავთობი, არამედ ცალკეული საამიროების ოჯახების სიძლიერე, რომლებიც ერთ მუშტად შეიკრნენ, ერთად მოიგერიეს ინგლისელი კოლონიზატორების შემოტევები და ერთობლივი ძალით ააშენეს თავიანთი შვილებისა და შვილიშვილებისათვის საოცნებო ქვეყანა. ნავთობი კი, მხოლოდ საშუალება გახლდათ ამ მიზნის მიღწევის დასაჩქარებლად, მე ეჭვი არ შემპარვია მათ გულწრფელობაში.

ურწმუნოთა დასარწმუნებლად კი განვმარტავ, რომ დღეისთვის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უმდიდრესი და უძლიერესი „დუბაის საამირო“ სულ რაღაც ორმოციოდე წლის წინათ, საამიროთა გაერთიანების მომენტში, მათ შორის ყველაზე ღარიბ-ღატაკი იყო და მხოლოდ თევზის ჭერით და რეწვით ირჩენდა თავს, მისი ნავთობის მარაგი კი, საამიროების საერთო მარაგის მხოლოდ 4% შეადგენდა.

თუ, როგორ ვითარდებოდა სახელდობრ „დუბაის საამირო“, გრძელი საუბრის თემაა, და მასზე აღარ შევჩერდები. ავღნიშნავ მხოლოდ ერთ საოცარ გარემოებას, რამაც რეალურად გაუთქვა სახელი დუბაის და განაპირობა მისი აყვავება, დღევანდელი „დუბაის საამიროს“ ეროვნულ შემოსავალთა ჩამონათვალში ლიდერობს არა ტურიზმი, უძრავი ქონების რეალიზაცია ან ნავთობის ექსპორტი, როგორც, ალბათ ბევრს ჰგონია, არამედ, საერთაშორისო გამოფენების, სიმპოზიუმების, ფორუმების, საერთაშორისო ვაჭრობის და სხვა საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებისგან მიღებული შემოსავალი.

მეცხრამეტე საუკუნიდან გამოსულ გმირს დიდმა ჭაბუა ამირეჯიბმა თავის უკვდავ „დათა თუთაშხიაში“, კი ათქმევინა, საქართველომ თავისი ზოგადსაკაცობრიო ფუნქცია დაკარგაო (ტექსტის შემოკლების გამო, საკუთარ ინტერპრეტაციაზე ავტორს ბოდიშს ვუხდი), მაგრამ, აბა ერთი ყურადღებით დააკვირდით მსოფლიოს რუკას. მე მგონია, ჩვენ ფუნქცია კი არ დავკარგეთ, ჩვენი ფუნქციის შეცნობა-გააზრებისა და ამ ფუნქციის ჩვენი მომავლის სასიკეთოდ გამოყენებისათვის საჭირო გონიერება დავკარგეთ.

ნუთუ სადავოა ის, რომ დღევანდელ, ცივილიზებულ მსოფლიოში თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით საქართველოსთან შედარებით პანამაც, საამიროებიც და სინგაპურიც უბადრუკად გამოიყურებიან? ნუთუ სადავოა ის, რომ საქართველო არის ხიდი ევროპასა და აზიას შორის, ევროპის კარიბჭე აზიისკენ მიმავალ გზაზე და აზიის კარიბჭე ევროპისაკენ მიმავალ გზაზე?

აქ, ამ კონცეფციის ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით მრავალწერტილს დავსვამ და ალავერდს ბიძინა ივანიშვილის მთავრობასთან გადავალ. რაც შეეხება პოლიტიკურ ასპექტს, თავი რომ დავანებოთ დივიდენდებს, რასაც ქვეყნის იმიჯი და საერთაშორისო ავტორიტეტი ჰქვია, ჩვენი ლამაზი მიწა-წყლის ცივილიზებული სამყაროს თანამედროვე მიღწევათა და ინტელექტუალურ საოცრებათა დემონსტრაციის არენად გადაქცევა არ გახდება ჩვენი ქვეყნის მიმართ გარეშე უწმინდური ძალების ყოველგვარი აგრესიის სამუდამო აღკვეთის გარანტია? ნუთუ ჩვენ, უდიდესი განათლებისა და კულტურული ტრადიციების ერს არ შეგვწევს უნარი, შევძლოთ ის, რაც შესძლეს წერა-კითხვის თითქმის უცოდინარმა ბედუინებმა?

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ყოფა-ქცევა არჩევნების შემდეგ განვლილი ერთი წლის განმავლობაში არა ჰგავს შეგნებული სამოქალაქო საზოგადოების მიერ საკუთარი შთამომავლობისა და ქვეყნის მომავლის ბედნიერებისათვის, აღმშენებლობისათვის მიღებული შანსის გონივრულად და გააზრებულად გამოყენების მცდელობას.

იგი უფრო იმ უყაირათო და გაზარმაცებული გლეხკაცის საქციელს წააგავს, გვალვიანი ზაფხულის ღამეს, გამთენიისას, ეზოში ღიად დარჩენილი ონკანიდან უცბად მოვარდნილი, დიდი ხნის ნანატრი წყლის ჩხრიალმა რომ გამოაღვიძა, ნახევრად მძინარე წამოდგა, ფანჯარა გამოაღო, დახუთულ ოთახში შემოჭრილ ღამისეულ გრილ სიოს სიცხისგან ოფლით დაცვარული შუბლი შეუშვირა, შეფხიზლდა, შემდეგ ეზოში ჩავიდა, ცივი წყლით წყურვილი მოიკლა, ცალი თვალით ჯერ კიდევ ღამის სიბნელეს ვერმორეული ალიონით შეწითლებულ ჰორიზონტს გახედა, შემდეგ კი, ნაცვლად იმისა, რომ მომენტის სიმშვენიერით დამტკბარიყო, ხოლო მაცოცხლებელი წყალი იქვე, ბოსტანში გვალვისაგან დახეთქილ, გამომშრალ და მოწყურებულ მიწაზე სარწყავად მიეშვა, ონკანი გადაკეტა, გათენების მოახლოების გაუაზრებლად უკან, სახლში შებრუნდა და კვლავ ხვრინვა ამოუშვა.

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება ჩვენი დიდი საერთო მონაპოვარია, მაგრამ სამწუხაროდ, საზოგადოებამ ჯერ ბოლომდე ვერ გაიაზრა, რომ ამ მონაპოვარს დაცვა, გაფრთხილება და განვითარება სჭირდება. ქვეყნისა და ჩვენი შვილების ბედნიერებისათვის ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ იწყება და ამ ბრძოლაში ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოება უნდა ვიყოთ ძირითადი წარმმართველი და მამოძრავებელი ძალა; ჩვენი ოჯახების სიწმინდემ, სიმრავლემ და სიძლიერემ უნდა უზრუნველყოს საქართველოს სიძლიერე.

გონიერების მაქსიმალური მობილიზება და გააზრებული მოქმედება გვმართებს, რათა ქვეყანა აღარ დაბრუნდეს იმ სიბნელეში, საიდანაც მძიმე, დაღლილი ნაბიჯებით სინათლისაკენ დაიძრა; რათა ქვეყანა აღარასოდეს გახდეს ხალხთმოძულე, უსამშობლო, ადამიანისმაგვარი ერთუჯრედიანი პრიმატების საჯიჯგნი და სათარეშო ასპარეზი. მათ მიერ ქვეყნის გარეთ მყარად ნაგები ბოროტების პიტალო ბასტიონები ივანიშვილის გუნდის აქტიური მეცადინეობით ნელ-ნელა ინგრევა, ქვეყნის შიგნით კი ჩვენი ინერტულობის გამო დღემდე თითქმის ხელუხლებელი რჩება.

ბინძურმა ჯაყომ ათი წლის განმავლობაში ვერ დაიოკა თავისი პირუტყვული ჟინი და კვლავაც აგრძელებს მისი ძალადობით შებოჭილი და გათანგული საქართველოს სულსა და ინტელექტზე ძალადობას; დამპალი, ავადმყოფი თესლიდან აღმოცენებული „სააკაშვილები“ — ყველა სფეროში, პარლამენტიდან და ძალოვანი სტრუქტურებიდან დაწყებული, მუნიციპალიტეტებით დამთავრებული, ჩაბუდებული ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზები, მათი მეხოტბე იდეოლოგები, ნოდიასმაგვარი სულწაწყმედილი ვაიეექსპერტები, პაიჭაძის, კვესიტაძის და ჩერგოლეიშვილის მაგვარი გაყიდული და პოლიტგაბახებული ვაიჟურნალისტები, „ნაცების“ კარზე ათი წლის განმავლობაში სამათხოვროდ ხელგაწვდილი, „გრანტიჭამია“, მათ მიერვე შექმნილი ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, სიმწრისაგან გაბოროტებული გულმოდგინებით აგრძელებენ ათი წლის განმავლობაში მათი გესლით დაავადებული და დასუსტებული ხალხის ფსიქიკაზე შეტევას, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების, სულისა და სულიერების საბოლოოდ განადგურების მცდელობას.

სწორედ ამიტომ, ჩემო ძვირფასებო! დღეს არა გვაქვს ძილის დრო და უფლება. გავიხსენოთ ჩვენი წინაპრების ბრძნული შეგონებები - „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“, „ძალა ერთობაშია“, „ბოროტსა სძლია კეთილმან“ და გავერთიანდეთ იმ ადამიანის ოცნების, ნებისა და გონების გარშემო, რომელმაც თავისი სიცოცხლის რისკის ფასად ბნელი, ქვეწარმავლებით სავსე გვირაბის ბოლოში სინათლე დაგვანახვა, ერთ მუშტად შეკრულნი გავყვეთ მას, ერთად აღვიდგინოთ შავისა და თეთრის გარჩევის უნარი, ერთად მოვიგერიოთ გესლიანი ისრები, ერთად აღვასრულოთ უზენაესი სამართალი, ვინც შენდობას იმსახურებს, შევინდოთ, გაკიცხვის ღირსი გავკიცხოთ, ხოლო დასასჯელი დავსაჯოთ.

იმ ერს და სახელმწიფოს, რომელსაც ღვთისმშობელმა თავისი კალთა გადააფარა, რომლის ბედნიერებისათვის მუდამდღე ლოცვა-კურთხევას აღავლენს და რომელსაც მოძღვრავს ჩვენი სულიერი მამა, მაღალი ღმერთისგან ერის სულიერების გასაძლიერებლად მოვლენილი ჩვენი პატრიარქი; იმ ერს და სახელმწიფოს, რომლის შუაგულში იღწვიან ქვეყნის ბედნიერი მომავლისათვის ბიძინა ივანიშვილის, ლევან ვასაძის, გიორგი მარგველაშვილის მსგავსი ჰუმანური, სამართლიანი, კაცთმოყვარე, კეთილშობილი, თავისი ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით, მის მომავალზე ზრუნვით დაფიქრებული, სიკეთის კეთებასა და გამრავლებაზე მომართული ადამიანები, დაღუპვა და გადაშენება არ უწერია.

ამ რწმენით, მხოლოდ სიმართლითა და სამართლიანობით, ურთიერთთანადგომითა და ურთიერთსიყვარულით, ეროვნული თვითშეგნებისა და სულიერების განმტკიცებით, წინაპართა ხსოვნისა და საკუთარი ისტორიის დაფასებით, განათლებითა და კეთილი საქმეების კეთებისათვის მუხლჩაუხრელი, დაუღალავი შრომით შევძლებთ, ავაშენოთ ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის ბედნიერი საქართველო, დავუბრუნოთ მას ისტორიული სახელი და დიდება, რეალობად ვაქციოთ „ქართული ოცნება“.

> **ДОДЕС АРА ГВАЦВС ДИЛИС ДРО ДА УФЛЕБА. ГАВИХСЕНОТ ЧВЕНИ ВИНАПРЕБИС БРДЖНУЛИ ШЕГОНЕБЕБИ - „ЕРТИ МЕРЦХЕЛИС ЧИКЧИКИ ГАЗАФХУЛС ВЕР МОИЧВАНС“, „ДАЛА ЕРТОБАШИА“, „БОРОТСА СДЕЛИА КЕТИЛМАН“ ДА ГАВЕРТИАНДЕТ ИМ АДАМИАНИС ОЦНЕБИС, НЕБИСА ДА ГОНЕБИС ГАРШЕМО, РОМЕЛМАЦ ТАВИСИ СИЦОЦХЕЛИС РИСКИС ФАСАД БНЕЛИ, ЕВЕВАРМАВЕБИТ САВСЕ ГВИРАБИС БОЛОШИ СИНАТЕ ДАГВАНАХВА, ЕРТ МУШТАД ШЕКРУЛНИ ГАВЕВЕТ МАС, ЕРТАД АДВИДГИНОТ ШАВИСА ДА ТЕТРИС ГАРЧЕВИС УНАРИ, ЕРТАД МОВИГЕРИОТ ГЕСЕЛИАНИ ИСРЕБИ, ЕРТАД АДВАСРУЛОТ УЗЕНАЕСИ САМАРТАЛИ, ВИНЕ ШЕНДОБАС ИМСАХУРебС, ШЕВИНДОТ, ГАКИЦХВИС ДИРСИ ГАВКИЦХОТ, ХОЛО ДАСАСЖЕЛИ ДАВСАЖОТ.**

**ბოლოს, ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონ ბიძინამ ასეთი ფრაზა ამოგვიკითხა: — „ეს ადამიანები ჩემ ოჯახს ეკუთვნიან“. ეს ფრაზა ალეგორიულ-ალეგორიულ, ალეგორიულ-ალეგორიულ, ალეგორიულ-ალეგორიულ ... ალეგორიულ-ალეგორიულ ... ალეგორიულ-ალეგორიულ ...

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №211

სილამაზე, რომელიც არსად წასულა...

„საიდან მოდის სილამაზე ან საით მიდის...“ – კითხვა, რომელმაც უკვე ცნებითი მნიშვნელობა შეიძინა, მუდამ გამოცანების წინაშე გვაყენებს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი სილამაზე არსად წასულა. ქალბატონი ნანა ყიფიანი სიცოცხლის ბოლო დღემდე წარუვალ მშვენიერებას გამოხატავდა და მერეც, რაც სამუდამო სასუფეველში გადაინაცვლა, ყველა ჩვენგანში ასეთივედ დარჩა სამუდამოდ აღბეჭდილი.

არა მხოლოდ გენეტიკური არისტოკრატიზმის გამო, ის რჩეულობის ნიშნით ხიბლავდა ადამიანებს, ატმოსფეროს ქმნიდა და გარემოს რაღაც შინაგანი, თითქოს კეთილშობილი, ძვირფასი თვლიდან მოციმციმე სინათლით ათბობდა.

მიუხედავად იმ გაუსაძლისი ტკივილებისა, რაც ცხოვრებაში განიცადა (მათ შორის შვილის – კოკას ტრაგიკული დაღუპვა), ის უმშვენიერესი ღიმილით იდგა ამ და იმ ქვეყნის გასაყართან, ამშვიდებდა ახლობლებს თუ შორებლებს, მარადიული არსებობის იმედს უსახავდა. ამ გარეგნულად ძალიან ნაზ, თითქოს სუსტ, დაუცველ არსებაში იყო რაღაც მოუხელთებელი ძალა, რაღაც უჩვეულო სიმყარე, რაც მისი ახლობლებისთვის (და ასეთები ბევრი ჰყავდა) ერთგვარ საყრდენს წარმოადგენდა.

მე მინდა, მადლობა ვუთხრა ჩვენს საერთო მეგობარს – თოლია აბაშიძეს, რომელმაც, ბიოგრაფიულად თუ პიროვნულად, პირველმა წარმომიდგინა ნანა ყიფიანი, იმ სიტყვებით, როგორითაც ძვირფას არსებას ამკობენ. მინდა, მადლობა ვუთხრა ქალბატონ მერი რადიანს, ვის სტუმართმოყვარე ოჯახშიც გავიცანი ქალბატონი ნანა, შემდგომში ჩემთვის მრავალი ფიქრის აღმძვრელი პიროვნება და, საერთოდ, ალბათ, ყველა მადლობელია ბედის, ვისაც მასთან ახლო ურთიერთობის ხიბლი განუცდია, ვისაც მისი ერთგულება და მხარდაჭერა უგრძნია. საილუსტრაციოდ რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ:

„ჩვენი საზოგადოებისთვის და, ალბათ, მრავალი ჩვენნაირი საზოგადოებისთვის ნანა ყიფიანი (და მისთანები, თუმცა, ის თავისებურად ერთადერთი და განუმეორებელია) ბედის საჩუქარია, წყალობაა. ერთი თვისება, რაც შეიმჩნევა მის პიროვნებაში, ისაა, რომ ყველანაირ წყენაზე და შურზე მაღლა დგას... თავისი ღირსებების შემეცნება, როგორც ჩანს, მისი სულიერი საფუძველია. ღირსება მასთან თანაშეზრდილია“ **(მერაბ ბაბუხარდია).**

„ჩემი სტუდენტობის პერიოდში რუსთაველის პროსპექტი ერთგვარი გამოფენა იყო, სადაც ულამაზესი ქალბატონები დადიოდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა სათნოებით, კდემამოსილებით, სიკეთით და სილამაზით სავსე არსება, რომელიც ამკობდა თბილისი-ქალაქს. ეს იყო ნანა ყიფიანი.

მერე გამოვიდა ორი ფილმი – „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“, სადაც ნანამ შესანიშნავი როლები განასახიერა. მე კარგად ვიცნობ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას და როცა ოცნებაში წარმოვიდგენდი მაროსა და მარეხის სახეებს – ნანა ყიფიანზე უკეთესს ვერც ვინატრებდი.

დღეს ხშირად ვხვდები ნანას თეატრებში, წირვაზე, საპატრიარქოში... იგი კედლიდან გადმოსულ ფრესკას ჰგავს...“ **(ანზორ ერქომაიშვილი).**

„ხშირად მიფიქრია, რომ თვალები გულის სარკეა, მაგრამ სახე განვლილი ცხოვრების რუკაა, მასზე აღნიშნული და ამოტვიფრულია ჩვენი ყოველი ფიქრი, ყოველი განცდა... სახის გამომეტყველება კი გვამცნობს, ვინ როგორ იცხოვრა, რისთვის იცხოვრა... როცა შენ გიმზერ, ჩემო ნანა, მაოცებს და სიამაყეს მგვრის შენი უსაზღვრო კეთილმოსურნეობა და შენი საოცარი წონასწორობა. მღელვარე ცხოვრებაში როგორ ახერხებ ყოველივეს?! საოცარია...“ **(ლეილა აბაშიძე).**

„სიამოვნებით ვიხსენებ იმ დღეებს, როცა ჩვენ, გერმანისტები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე ვთანამშრომლობდით. ნანა მაშინ სულ ახალგაზრდა იყო, ისეთივე მშვენიერი და კდემამოსილი, როგორიც დღესაა. მის სილამაზეს წლების მანძილზე არაფერი დაჰკლებია. მიფიქრია ამ ფენომენზე და ერთ დასკვნამდე მივსულვარ: იგი ძველებურად ასხივებს სიკეთეს, გონიერებას, ჭეშმარიტ ინტელიგენტურობას და მისი სალამაზის საიდუმლოც ეს არის **(დალი ფანჯიკიძე).**

„რა შეიძლება ითქვას ისეთ გამორჩეულად შესანიშნავ ქალბატონზე, როგორიც ნანა ყიფიანია? ალბათ, და, რა თქმა უნდა, მხოლოდ კარგი რამ, თუნდაც ის, რომ, ვინც ლამაზ ქალს არა მარტო გულით და გონებით დაინახავს, გახდება კიდეც ღირსი ამქვეყნად ყველაზე ლამაზი და ამავე დროს, ყველაზე დიდებული სამყაროს ხილვისა!..“ **(თამაზ ჭილაძე).**

„ნანა ყიფიანის გარეგნულ სილამაზეს ყველაზე მეტად მისი სულიერი სამყარო შეედრება, რომელიც აურაცხელ სიყვარულს ასხივებს გარშემო. მისი ცხოვრება გამოხატულია ქართველი მანდილოსნის ტრადიციული, ქრისტიანული ქმედებით – უდიდესი სიყვარულითა და სითბოთი, რაც ჩვენთვის ყველაზე მეტად განსაცვიფრებელია, ეს არის ულამაზესად გამოხატული მარადიული ურთიერთობა დედასა და შვილს შორის... შესანიშნავი წინაპრებით მოტანილი მადლი ნანა ყიფიანის სახით ყოველთვის დაამშვენებს ჩვენს ისტორიულ საუნჯეს. დიდება უფალს იმისათვის, რომ წილად გვერგო ნანა დეიდას სიახლოვეს ყოფნა და იმ მშვენიერ სამყაროში ჩვენი ადგილის დამკვიდრება, რომელსაც ნანა ყიფიანის სამყარო ჰქვია“ **(შვილის – კოკას მეგობრები).**

„ჭეშმარიტი სილამაზე ეს არის სხივი სიყვარულის, რომელსაც სული ასხივებს. ეს სხივი არის ნანა ყიფიანი“ (**მიხეილ კობახიძე.)**

* * *

„ჩემო ნატვრად ქცეულო ნანა, არ ვიცი, რომელ ენაზეა ნანა ყვავილის სახელი, შენთვის ასე შესაფერი და მოხდენილი. ჩემო ძვირფასო, ხომ გახსოვს, როგორ აღაფრთოვანე აქაურობა შენი დედოფლური ქცევით და ხედვით!... ჩემს საყვარელ დაიკოსთან ეთერთან ერთად მოფრინდით ჩემთან და მომიტანეთ ჩემი ქვეყნის გაზაფხული, ჩემი ქვეყნის მიწა და ჩემი სამშობლოს სურნელი... ჩემს სამშობლოზე დაგროვებული გული ტირის საყვარელი მიწისათვის...“ – ეს ლეო ჭეიშვილის წერილიდანაა, ქართველი ემიგრანტის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ტკივილიანი სიტყვები.

ერთ-ერთი სურათი,რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ (ახალგაზრდა ნანა ყიფიანია, კადრი ნიკოლოზ სანიშვილის ფილმიდან „დაისი“), ბატონ ლეო ჭეიშვილს მიუღია და კიდევ ერთხელ აჩუყებია გული: „როდესაც სურათი მეჭირა ხელში და დავცქეროდი ნანას მშვიდ და ჭკვიან სახეს, ვერ გადმოგცემ, ისე ძნელია ამის აღწერა: ეს იყო სიხარულიც, ტკივილიც, ცრემლიც და ღიმილიც. ჩემ წინ იდგა უკვდავი საქართველო, მისი ლურჯი ცა, მწვანე ხავერდის წალკოტი, დაფარული ათასფეროვანი ყვავილებით, ჩვენი სახლი, დედმამა, ნათესავები, მეგობრებ-ახლობლები, მთელი ჩემი წარსული და ახალგაზრდობა...“ ბუენოს-აირესი, 16.6.71.

ქალბატონმა ნანამ კარგად უწყოდა,რომ საბოლოოდ ყველანი ერთად ვართ და ერთად ვიქნებით. ამ რწმენით შეუერთდა იგი მისთვის ძვირფას სახელებს.

ნინო ხოფერია

არგენტინა. ლეო ჭეიშვილი შვილიშვილ ალექსისთან და ნანა ყიფიანთან ერთად

უახლესი ისტორიის დღევანდელი გადასახედიდან

ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ სანკტ-პეტერბურგის გაზეთში

– მთავრობები, რომელთაც თქვენ დემოკრატიულს უწოდებთ, სინამდვილეში კარგა ხანია, განუდგნენ დემოკრატიას. დემოკრატია იქცა ცარიელ სიტყვად, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებენ დასავლეთის მთავრობათა ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა ამ მთავრობებს სურთ, გააძლიერონ თავიანთი გავლენა და სამხედრო ყოფნა რომელიმე რეგიონში, თავდაპირველად ცდილობენ, მოისყიდონ ამ ქვეყნის ხელისუფლება და თუ წინააღმდეგობას წააწყდნენ, უბრალოდ, ამხობენ მას. ასეთ შემთხვევაში მათთვის არა აქვს მნიშვნელობა დამხობილი რეჟიმის ხასიათს: დემოკრატიულია იგი თუ ავტორიტარული. ეს მტაცებლური მიდგომა სხვა ქვეყნებისადმი დღეს საბოლოოდ დამკვიდრდა ნატოს სახელმწიფოებში.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ყველაზე მძლავრი სახელმწიფოები უკვე აღარც კი ცდილობენ, შენიღბონ თავიანთი ზრახვები და აშკარად და ცინიკურად თრგუნავენ სხვა ხალხთა ნებას. სწორედ, ეს მოხდა საქართველოში.

– ბატონო პრეზიდენტო, რას წარმოადგენენ ეს მსოფლიო ძალები, ესოდენ თავისუფლად რომ ერევიან უცხო სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში?

– კაცობრიობის მტრებს – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ისინი მიზნად ისახავენ ყველა სხვა ხალხის გენოციდს; პლანეტის მთელი მოსახლეობის ერთი განსაზღვრული ჯგუფის გამოკლებით. ეს ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული შეერთებულ შტატებსა და ევროპასთან და მთელი ძალით მიილტვის მსოფლიო ბატონობისაკენ. ზოგადად, მე მას ევროამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მთავარ დამკვრელ ძალას მასში წარმოადგენს აშშ. შეიძლება ითქვას, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით.

ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისადმი საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მა მოაწყო საქართველოში, ადრე არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში.

– რით ვერ დაიმსახურა თქვენმა ხელისუფლებამ დასავლეთის კეთილგანწყობა?

– ჩვენ მივესწრაფვოდით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას, არ დავემორჩილეთ დასავლური სახელმწიფოების დიქტატს, არ ვიქეცით მათი ინტერესების მსახურად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით, რომ საქართველო დასავლეთის კოლონიად ქცეულიყო.

დასავლეთს კი მხოლოდ ისეთი ხელისუფლება აძლევდა ხელს, რომელიც უსიტყვოდ აღასრულებდა მის ნებას. ეს იქცა ერთ-ერთ მიზეზად სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცრუ) აგენტისა და ევროამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის მოსვლისა.

მაგრამ დასავლეთის წყრომას ჩვენს მიმართ კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. სახელმწიფოს სათავეში მოსულნი, ჩვენ ვესწრაფვოდით ეროვნული კულტურის აღორძინებას, ხალხის შეკავშირებას ეროვნული სულისკვეთებით, რათა მას მთელი სიღრმით გაეცნობიერებინა, რომ გაცილებით ძველი ისტორია აქვს, ვიდრე ბევრ ევროპელ ხალხს... ჩვენი პოლიტიკის ეს ეროვნული ორიენტაცია არ იწვევდა სწორედ საერთოევროპული სახლის მესვეურთა აღტაცებას, რადგან ოფიციალური დასავლეთი (მხედველობაში მაქვს ხელისუფლებანი და არა ხალხები) ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ მოძრაობას. მათი მიზანია, გაანადგურონ ერის ნება საერთოდ და შექმნან ერთიანი მსოფლიო კონგლომერატი, სათავეში – მსოფლიო ხელისუფლებით. ამ მსოფლიო მთავრობამ უნდა განაგოს ქვეყნიერება და დაამყაროს ე.წ. ახალი მსოფლიო წესრიგი. ახალი მსოფლიოს წესრიგის არსია: განადგურება ყველა სახელმწიფოს (ქრისტიანული იქნება ის თუ მუსულმანური, რელიგიას ისინი არ ანიჭებენ მნიშვნელობას) დამოუკიდებლობისა, გენოციდი ამ ქვეყნების მოსახლეობისა და საბოლოო დამორჩილება მთელი პლანეტისა.

ძალები, რომელთაც ეკისრება მსოფლიო ხელისუფლების ბატონობის შემზადება, სხვა ქვეყნებს განიხილავენ მხოლოდ რესურსების თვალსაზრისით. მათი მიზანია, ეს ქვეყნები თავიანთი ხალხებით, მთავრობებით, კულტურებითურთ აქციონ უბრალოდ ტერიტორიებად, სადაც მოსახლეობას დატოვებენ მხოლოდ მსოფლიო ელიტისათვის საჭირო რაოდენობით. ამასთან, სრულიად დემორალიზებულს, მზადმყოფს მისი ინტერესების სამსახურისადმი. ამ ზრახვათა განხორციელებას მხოლოდ ხალხთა ეროვნული თვითშეგნება და ეროვნული სახელმწიფოების შექმნა შეიძლება აღუდგეს წინ. ამიტომ ებრძვის დასავლეთი ეროვნულ მოძრაობებს, ამიტომ ცდილობს ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას და ომების პროვოცირებას. მაგალითად, იუგოსლავიაში მიმდინარე ომი მათი ნამოქმედარია. ეს შემთხვევით სტიქიურად აალებული კონფლიქტი კი არ არის, არამედ მიზანმიმართულად გაჩაღებული ომი, რომელშიც უნდა დაიფერფლოს ეროვნული იდეის მატარებელი ხალხი. დღეს დასავლეთს იუგოსლავიის მოდელი დასავლეთიდან გადააქვს კავკასიაში, ხელოვნურად მწვავდება ეროვნებათაშორისი დაძაბულობა. შემდგომში ხან აქ, ხან იქ აფეთქებული ლოკალური კონფლიქტები დასავლეთს მისცემენ საბაბს პირდაპირი სამხედრო ჩარევისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძალთა სახით. სულ ახლახან გაკეთდა განცხადება, რომ ნატო ქმნის სწრაფი რეაგირების ძალებს, ასი ათასი კაცის შემადგენლობით, რომელიც ჩაერევა მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მიმდინარე მოვლენებში. ფრიად საყურადღებოა, რომ ამასთან დაკავშირებით მოხსენიებულ იქნა კავკასია და იუგოსლავია.

– ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განზრახული გქონდათ ისეთი სახელმწიფოს აშენება საქართველოში, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ეროვნული ინტერესებისაკენ. რა მიგაჩნიათ უმთავრეს პირობად ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის?

– პირველ რიგში, აუცილებელია შემუშავება ისეთი მექანიზმისა, რომელიც უზრუნველჰყოფს ქვეყანაში მოსახლე ყველა ეროვნების ურთიერთთანხმობის მიღწევას, ეროვნულ უმცირესობათა უფლების განუხრელ დაცვას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შინაგანი სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია ძალადობისა და ეროვნულ უმცირესობათა დათრგუნვის გზით. აუცილებელია გადასვლა ერთ სახელმწიფოში ეროვნებათა თანაარსებობის ისეთ ფორმაზე, რომელიც ხელსაყრელი იქნება ყველასათვის როგორც ეკონომიკის სფეროში, ისე ეროვნული კულტურის შენარჩუნების უსაფრთხოების თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო კოსმოპოლიტური ძალები, რომლებზედაც ვლაპარაკობთ, უსათუოდ შეეცდებიან რომელიმე ეროვნების უკმაყოფილება გამოიყენონ სახელმწიფოს დარღვევისათვის. ეს მათი ნაცადი და ქმედითი ხერხია. თვითგამორკვევის პრინციპი, რასაკვირველია, არ უნდა დავიდეს ამსურდამდე; მაგალითად, თუ დღეს რუსეთში ვოლგისპირელმა გერმანელებმა გერმანული სახელმწიფოს შექმნა მოინდომეს, ეს ყოვლად დაუშვებელ მოთხოვნად უნდა შეფასდეს.

– რატომ ქმნიდით მაინცდამაინც ეროვნულ სახელმწიფოს? საერთოდ, რაში სჭირდება ადამიანს ეროვნება, თქვენი თვალსაზრისით?

– სწორედ, ეროვნული თვითშეგნება აქცევს ადამიანს ადამიანად. ეროვნება არა აქვს ცხოველს, სარწმუნოება და ეროვნება ის ძირითადი თვისებებია, რომელნიც ადამიანს სხვა სულიერისაგან განასხვავებენ და მისთვის ამ განმასხვავებელი თვისებების წართმევა უმძიმესი დანაშაულია ადამიანის წინაშე, დასაწყისი მისი, როგორც პიროვნების, დეგრადაციისა. დენაციონალიზაცია წინაპართა და წარსულის უარყოფა, ადამიანის სრული მოკვეთაა ეროვნული ფესვებისაგან. კაცი ადამიანურ აზრს მხოლოდ თავისი ეროვნული კულტურის წიაღში ინარჩუნებს, ამიტომ ადამიანის კულტურა განუყრელად არის დაკავშირებული მის ეროვნებასთან; იგი მშობლიური კულტურის მეშვეობით ეზიარება მსოფლიო ცივილიზაციას. ამდენად, დენაციონალიზაცია ადამიანისა და დენაციონალიზაცია ქვეყნისა წყვეტენ მათ კავშირებს დანარჩენ სამყაროსთან და დაუცველს ტოვებენ მსოფლიო მასშტაბით ორგანიზებული კოსმოპოლიტური ძალების წინაშე.

– რა ძალები აღუდგნენ სახელმწიფოს შექმნას თვით საქართველოში?

– საქართველოში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ნომენკლატურულს უწოდებენ. კულტურის ეს მოღვაწენი დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ საბჭოურ წლებში და ახლაც ახალ პრივილეგიებს გამოდევნებულები მზად არიან, ზურგი აქციონ მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამჯერად, ისინი ე. შევარდნაძის გარშემო დაირაზმნენ. იგივე ნაწილი ინტელიგენციისა, ძალზედ მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის სამყაროსთან, მაფიასთან. არსებითად, ჩვენთან, საქართველოში, მათ შორის არც არის რაიმე განსხვავება. ისინი ისე განუყრელად შეზრდიან ერთმანეთს, რომ ერთ პიროვნებაში ხშირად შერწყმულია ინტელიგენტიც და დანაშაულებრივი სამყაროს ავტორიტეტიც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოიქმნა მთელი კლასი ასეთი ჰიბრიდებისა. სწორედ, ისინი ჩაუდგნენ სათავეში და განახორციელეს გადატრიალება.

ერთნი საქართველოში მომხდარს ახასიათებენ, როგორც „ბურჟუაზიულ რევოლუციას“, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს; საქართველოში არ არსებობს ბურჟუაზია, არის მხოლოდ მაფია და საქართველოში სწორედ „მაფიოზური რევოლუცია“ მოხდა.

– რით აიხსნება დასავლეთის ესოდენ გაზრდილი ინტერესი კავკასიის მიმართ?

– ეს რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კავკასიის მფლობელი ფლობს ახლო აღმოსავლეთსაც და აზიასაც. ეს, სხვათა შორის, მუდამ ესმოდათ დასავლეთის ქვეყნებს, რის გამოც ბრძოლა კავკასიისათვის უძველესი დროიდან მიმდინარეობდა მათსა და რუსეთს შორის.

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, კავკასია წარმოადგენს ხიდს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც მეტად აუცილებელია ორივე მხარისათვის.

რუსეთიც კავკასიას ოდითგანვე განიხილავდა, როგორც მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ პლაცდარმს, მაგრამ რუსეთი დღეს სუსტდება და ამიტომ დასავლეთი მიისწრაფვის ხელიდან გამოსტაცოს მას ინიციატივა, თავისი გავლენა გაავრცელოს ამ რეგიონში და, ბოლოს და ბოლოს, მოახდინოს მისი ოკუპაცია. მაგრამ ეს შეუძლებელია კავკასიის სრული „ბალკანიზაციის“ გარეშე. საკმარისია, რუსეთმა სცნოს მთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომ მათი სახით მყისვე შეიძენს ყველაზე ერთგულ მეგობრებს, რადგან აქ მკაფიოდ განასხვავებენ ელცინსა და რუსეთის სახელმწიფოს, როგორც მფარველს დასავლური ექსპანსიისაგან.

– ბატონო პრეზიდენტო, თავად თქვენ როგორ ეკიდებით რუსეთს?

– ძალიან კარგად. ვიმედოვნებ, არც თქვენ აიგივებთ ელცინსა და რუსეთს! მმართველები მოდიან და მიდიან, ქვეყანა კი რჩება. მე მიმაჩნია, რომ როლი, რომელსაც დღეს რუსეთი ასრულებს კავკასიაში, არ შეესაბამება მისსავე ინტერესებს და ოკეანის გაღმიდან აქვს თავსმოხვეული.

ჩემთვის არ არის უცხო პრორუსული განწყობა. მე მუდამ მივესწრაფვოდი მჭიდრო კავშირს რუსეთთან და ვოცნებობდი, საქართველოს ჰყოლოდა ბუნებრივი მოკავშირე ამ თავისი დიდი აღმოსავლელი მეზობლის სახით, მაგრამ ეს არ აძლევდა ხელს დასავლურ სამყაროს და მის მორჩილ ხელისუფლებას რუსეთისა. ისინი განაგრძობენ ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას კავკასიაში. შედეგად, ჩვენ ვდგავართ ამ კონფლიქტების დიდ ომში გადაზრდის სავსებით რეალური საფრთხის წინაშე.

მე იმედი მაქვს კონფლიქტებში ჩათრეული ხალხების; პირველ რიგში, რუსი ხალხის საღი აზრისა და გონიერებისა. ვიმედოვნებ, იგი შეიგნებს, თუ ვინ და რა ინტერესების კარნახით უბიძგებს რუს ჯარისკაცებს ახალი კავკასიური ომის უფსკრულისკენ. ამ ომში ვერც ერთი მხარე ვერ იქნება გამარჯვებული. მხოლოდ დასავლეთი მოითბობს ხელს ახალი ომის ალზე.

მე მწამს ხალხთა სიბრძნისა. ეს არის უკანასკნელი, რამაც უნდა გვიხსნას კატასტროფისაგან.

„ნაროდნაია პრავდა“ №41
1992 წელი
სანკტ-პეტერბურგი

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

◎ სტუმარი

ბიძინა ივანიშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის და სპორტული ორგანიზაცია „სპორტ აკორდის“ პრეზიდენტს მარიუს ვიზერს შეხვდა. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, მარიუს ვიზერი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით გუშინ დილით ეწვია. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია 2 ხელშეკრულების გაფორმება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ძიუდოს ფედერაციასა და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციას შორის, რის მიხედვითაც თბილისის საერთაშორისო ტურნირს გრან-პრის სტატუსი მიენიჭება. ასევე დაგეგმილია სკოლებში ძიუდოს სწავლების პროექტის ხელშეწყობა და განვითარება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მარიუს ვიზერს ქართული ძიუდოს მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ სპორტის ამ სახეობის ქართველი წარმომადგენლები საერთაშორისო არენაზე კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევს.

გეჟან დოლიძე

◎ ფარიკაობა

აფრასიძის ევროპული ჯილდო

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში სამ დღეს გრძელდებოდა 14 და 17-წლამდელ მოხმალავეთა ევროპის თასის გათამაშების მორიგი ეტაპი. შეჯიბრებაში საქართველოს წარმომადგენლებიც ცდიდნენ ძალებს. 14-წლამდელებში შესანიშნავად იასპარეზა თბილისის ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელმა ანა აფრასიძემ, რომელმაც პლეი ოფში ზედიზედ ოთხ მეტოქეს სძლია და 39 მონაწილეს შორის მთავარი პრიზი მოიპოვა. წლეულს ანა აფრასიძისთვის ეს პირველი წარმატება არ ყოფილა: მოფარიკავეთა ეროვნულ ჩემპიონატში მან მესამე ადგილი დაიკავა, ქუთაისსა და თბილისში თანატოლთა შორის ორი საერთაშორისო ტურნირი მოიგო, მსოფლიოს ჩემპიონ ლორთქიფანიძის თასის გათამაშებაში ყველას აჯობა, ხოლო 28 ივნისს ტურინში (იტალია) მოხმალავეთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც მასპინძლებმა „მსოფლიოს ჩემპიონი“ უწოდეს, შვიდი ქვეყნის წარმომადგენლებთან პაექრობაში ანა აფრასიძემ მხოლოდ ნახევარფინალი დათმო მასპინძელთან 14:15 და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

უიღბლო ტური

პოლონეთის დედაქალაქში გრძელდება მოჭადრაკეთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი. მე-6 ტური ქართველებისთვის უიღბლო აღმოჩნდა. ქალთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონ უკრაინელებს შეხვდა. წარმატების შემთხვევაში იგი ლიდერს ქულებით გაუთანაბრდებოდა. სამწუხაროდ, ჩვენები მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ (ნანა ძაგნიძე-კატერინა ლაგნო 1:0, ანა უშენინა-მერი არაბიძე 1:0, ბელა ხოტენაშვილი-მარია მუზიჩუკი 0:1, ნატალია ჟუკოვა-ლელა ჯავახიშვილი 0:1). მე-6 ტურში მეწინავეთა დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დასრულდა: პოლონეთი-რუსეთი 2:2, გერმანია-პოლონეთი (3) 1.5:2.5, ესპანეთი-სომხეთი 0.5:3.5, რუმინეთი-უნგრეთი 1.5:2.5.

ექვსი ტურის შემდეგ: უკრაინა — 11 (17,5), სომხეთი - 9 (18), საქართველო — 9 (16), პოლონეთი — 9 (14), პოლონეთი (3) — 9 (13,5).

საქართველოს ვაჟთა ნაკრები მე-6 ტურში აზერბაიჯანელებს შეხვდა და ამ ჩემპიონატში პირველად დამარცხდა — 1:3 (ბაადურ ჯობავა-შაჰრიარ მამედიაროვი 0:1, ტეიმურ რაჯაბოვი-მიხეილ მჭედლიშვილი 0.5:0.5, ლევან ფანცულაია-ელთაჯ საფარლი 0.5:0.5, რაუფ მამედოვი-გაიოზ ნიგალიძე 1:0). საბერძნეთი-საფრანგეთი 1.5:2.5, რუსეთი-რუმინეთი 2.5:1.5, სომხეთი-უნგრეთი 2.5:1.5, ინგლისი-უკრაინა 2:2, ჩეხეთი-ჰოლანდია 2:2, ესპანეთი-ხორვატეთი 1.5:2.5, ბელერუსი-სერბეთი 2.5:1.5.

ექვსი ტურის შემდეგ: საფრანგეთი — 11 (15), აზერბაიჯანი — 10 (14,5), რუსეთი — 9 (16), სომხეთი — 9 (13,5). 6 გუნდს (მათ შორის — საქართველოს) 8-8 ქულა აქვს.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

ბესიკ ლიპარტელიანი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობაზე კენჭს აღარ იყრის

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მოქმედი პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი 2013 წლის 11 დეკემბერს დანიშნულ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას აღარ მიიღებს. ამის შესახებ ლიპარტელიანმა კალათბურთის ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ბესიკ ლიპარტელიანი: „კარგად მოგეხსენებათ, რომ 2013 წლის 11 დეკემბერს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია დანიშნული. 2001 წლიდან ვარ ფედერაციის ხელმძღვანელი და ამ 12 წლის განმავლობაში ბევრ ადამიანთან მქონდა ურთიერთობა. მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა კალათბურთის განვითარებაში. მე გადავწყვიტე შევხვედროდი საკალათბურთო საზოგადოებას და გამეგო მათი აზრი მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. ბოლო თვენახევრის განმავლობაში არაერთი შეხვედრა ჩავატარეთ. იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნებზე კანდიდატებს ჰქონდეთ მეტი თავისუფლება, მივიღე გადაწყვეტილება, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ მივიღო. ამაზე 2 წლის წინაც ვფიქრობდი. იმედია, ვინც ამ პოსტზე მოვა, ღირსეულად გააგრძელებს მოღვაწეობას და რაც შეიქმნა, არ დაანგრევს. სპორტიდან არ მივდივარ. კალათბურთში დავრჩები თუ სხვაგან გავაგრძელებ მუშაობას, ამას მომავალი გვიჩვენებს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება, ამასთან, არსებული წესდებით გაიმართება. შეხვედრა გვქონდა ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომელთაც წესდებასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება მივაწოდეთ. მათგან მხარდაჭერა მივიღეთ“.

— რადგან გადაწყვიტეთ, რომ კენჭი მომავალ არჩევნებზე არ იყაროთ, თქვენზე პოლიტიკური ზეწოლა ხომ არ ყოფილა?

— სამწუხაროდ, ჩემთვის გაუგებარი და საწყენი იყო, რომ 2012 წლის ნოემბრიდან დაიწყო ბინძური კამპანია კალათბურთის ფედერაციის წინააღმდეგ, თითქოს განვლილი პერიოდის განმავლობაში არაფერი კეთდებოდა და კალათბურთი დაღუპვის გზაზეა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ ამ სიბინძურისთვის ნათელი მომეფინა, შევხვედროდი საკალათბურთო საზოგადოებას და არჩევნებზე არ ყოფილიყო ერთი კანდიდატი, როგორც ეს ყიფიანსა და ახვლედიანს სურდათ. არჩევნებზე რამდენიმე კანდიდატი იქნება და ღირსეულს აირჩევენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ხუთიოდ წუთიც რომ გაგვეძლო...

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები შოტლანდიელ თანატოლებს მატჩის დასრულებამდე ხუთიოდ წუთით ადრე უგებდა, თუმცა უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და შეხვედრა 1:1 დაასრულა. აღნიშნული შეხვედრა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ეგიდით იმართებოდა და მასში გამარჯვება ალექსანდრე ჩივაძის შეგირდებს ძალიან წაადგებოდათ, თუმცა...

პეისლიში „სენტ მირენ პარკზე“ გამართულ მატჩში ანგარიში გიორგი ჭანტურიამ 35-ე წუთზე გახსნა, მასპინძლებმა კი საპასუხო გოლი 84-ეზე შეაგდეს. თავი შეცვლაზე შესულმა კალუმ პატერსონმა გამოიჩინა.

სამწუხაროდ, თამაშისთვის თვალის მიდევნების საშუალება არ გვქონია, უეფა-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამართული ტექსტური რეპორტაჟის მიხედვით კი გამარჯვებასთან უფრო ახლოს ქართველები იყვნენ.

სტუმრებმა კარის მიმართულებით 15-ჯერ დაარტყეს და აქედან კარში ბურთი 7-ჯერ წავიდა, შოტლანდიელების ანალოგიური მაჩვენებლები კი, შესაბამისად, 9 და 5 გახლდათ. ისიც ვთქვათ, რომ მეტოქეებმა 6-6 კუთხური მოაწოდეს.

ევროპირველობის მე-3 შესარჩევ ჯგუფში ეს ქართველი 21-წლამდელების პირველი ყაიმი გახლდათ. შედეგად, ჩივაძის გუნდმა 5 მატჩში 7 ქულა მოაგროვა

და მე-3 ადგილზე იმყოფება. პირველ-მეორე პოზიციებს ჰოლანდია და სლოვაკეთი ინარჩუნებენ, რომელთაც სენეცში 2:2 ითამაშეს — 10-10 ქულა.

საქართველოს ნაკრებს ციკლში კიდევ 3 მატჩი დარჩა ჩასატარებელი. 18 ნოემბერს ქართველები გორში სლოვაკეთს ეთამაშებიან, მომავალი წლის 5 მარტს ლუქსემბურგს უმასპინძლებენ, 4 სექტემბერს კი ჰოლანდიას ეწვევიან.

შეგახსენებთ, რომ ტურნირის ფორმატის მიხედვით ნაკრებები ათ ჯგუფში არიან გადანაწილებულნი, ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში თამაშის უფლებას კი ჯგუფების გამარჯვებულნი და ოთხიც საუკეთესო მეორეადგილოსანი მიიღებს.

გიორგი ზოთაძე

◎ კრივი

ფინალისტთა ვინაობა დღეს გაირკვევა

საქართველოს 9 მოკრივე ჩაება ჭაბუკთა ევროპის პირველობაში, რომელსაც რუსული ანაპა მასპინძლობს. ხუთდღიანი შეჯიბრებების შემდეგ ოთხი ჩვენებური ნახევარფინალში გავიდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ სულ მცირე ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს. 46 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიორგი ჩარგაზიამ ჯერ მაქსიმ ალინიკაუ (ბელარუსი) დაამარცხა, შემდეგ ლიამ კალაჰანი (ირლანდია) ჩამოიშორა გზიდან და ნახევარფინალში რუფათ ჰუსეინოვს (აზერბაიჯანი) დაუპირისპირდება. ასევე ორ—ორი პაექრობა

მოიგეს უჩა მაისურაძემ (52 კგ; დაამარცხა ბელარუსი კირილ ფილიპოვიჩი და ირლანდიელი ოლივერ კერტი) და რატი ტლაშაძემ (75 კგ; სძლია ბელარუს ულაძისლავ ნიკიტშინსა და უკრაინელ იგორ ვიქტოროვს). ქართველი მოკრივეები ნახევარფინალში,შესაბამისად, ტემირლან ხანგიჩიევსა და ანდრეი პანკოვს (ორივე—რუსეთი) გაუწევენ მეტოქეობას. მეოთხე მედალი „ჯვაროსნებს“ გიორგი ხარაბაძემ (66) მოუტანა. მან ჯერ იეგორს არტიომოვსს (ლატვია) სძლია — 3:0, ხოლო შემდეგ ვლადისლავ გუმენიუსს (მოლდოვა) — 3:0 და დღეს იტალიელ ფილიპო ბრესანის შეხვდება.

დანარჩენ ჩვენებურთა შეხვედრები ასე დამთავრდა: გაგიკ პოზოიანი (50 კგ)-ანდრეი ტეოდორ უდუბასა (რუმინეთი) 3:0, პოზოიანი-პატრიკ კლერი (ირლანდია) 0:3; ვალერი ბოყოველი (54)-რობერტ ეუსებიუ (რუმინეთი) 0:3; გიორგი დოლიაშვილი (63)-ემილ იორგენსენი (დანია) 2:1, დოლიაშვილი-მარკ კონტრეზი (უნგრეთი) 0:3; იაგო გედენიძე (80)-მუჰამედ აიდინი (თურქეთი) 3:0, გედენიძე-ვიდალ რილეი (ინგლისი) 0:3; გიორგი ზურაბიანი ((80)-ანგელ ანგელოვი (ბულგარეთი) 1:2. ცხადია, ვერც ერთი მათგანი კვარცხლბეკს ვერ შესწვდა.

გივი გაგუა

◎ დედამიწის ზურგზე

მსოფლიოში ყველაზე ღარიბი პრეზიდენტი

ფაქტობრივად, ყველა ქვეყნის მცხოვრები ხშირად ჩივის, რომ პოლიტიკოსებმა არ იციან და არც აინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ უბრალო ადამიანები, მაგრამ ეს ფაქტი არ აკვირვებს ურუგვაის მცხოვრებლებს. გაიცანით: ასკეტი და ვეგეტარიანელი პრეზიდენტი ხოსე მუხიკა. იგი ძველ ფერმაში ცხოვრობს და თითქმის მთელ ხელფასს ქველმოქმედებას ახმარს.

მისი სახლის წინ თოკზე სარეცხი

შრება. ბალახით დაფარულ შუა ეზოში მდებარე ჭიდან მუხიკამ წყალი უნდა მოზიდოს, სახლს მხოლოდ ორი პოლიციელი და სამფეხა ძაღლი სახელად მანუელი დარაჯობენ. სწორედ ასე ცხოვრობს ხოსე მუხიკა – ურუგვაის პრეზიდენტი, რომლის ცხოვრების სტილიც საერთოდ არ ჰგავს ძლიერთა ამა ქვეყნისათა ცხოვრებას.

ხოსე ალბერტო მუხიკა კორდანო 1935 წლის 20 მაისს მონტევიდეოში დაიბადა. ურუგვაელმა პოლიტიკოსმა, 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ფართო ფრონტის კანდიდატმა, ხოსე ალბერტომ მეორე ტურში, რომელიც 29 ნოემბერს გაიმართა, თავის ძირითად პრეტენდენტს აჯობა და ურუგვაის პრეზიდენტად აირჩიეს. ოფიციალურად საპრეზიდენტო საქმიანობას 2010 წლის 1 მარტს შეუდგა.

2005-დან 2008 წლამდე მუხიკა ურუგვაის სასაქონლე მეურნეობის, მიწათმოქმედებისა და მეთევზეობის მინისტრი იყო, შემდეგ – სენატორი. 2005 წელს მუხიკამ სენატში თავის კოლეგასა და სახალხო მონაწილეობის ისტორიულ ლიდერ ლუსი ტოპოლანსკიზე იქორწინა.

„მე ძალიან კარგად ვცხოვრობ“

პრეზიდენტმა უარი თქვა ოფიციალურ საპრეზიდენტო რეზიდენციაში ცხოვრებაზე და თავის მშობლიურ ფერმაში დასახლდა, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ მონტევიდეოსთან ახლოს მდებარეობს. სახლისკენ ერთადერთი გრუნტის გზა მიდის. პრეზიდენტი და მისი ცოლი გასაყიდ ყვავილებს აშენებენ. დაქირავებული მუშები მათ არ ჰყავთ. არც დაცვისთვის ეხარჯება ბევრი ფული – მისი დაცვა ორი პოლიციელისგან შედგება. ცოლ-ქმრის სუფრა ასკეტურად გამოიყურება. მუხიკა ქველმოქმედებისთვის თავისი ხელფასის 90%-ს გასცემს. ხელფასი კი პრეზიდენტს არც ისე მცირე, თვეში 12 ათასი ამერიკული დოლარი აქვს.

მას მსოფლიოში ყველაზე ღარიბ პრეზიდენტს უწოდებენ. „მთელი ცხოვრება ასე ვცხოვრობ, – ამბობს მუხიკა. – ჩემს ბაღში ძველ სკამზე ვზივარ. სკამზე ძველი ბალიში დევს, რომელიც მანუელმა დაღრღნა: – მე ძალიან ბედნიერი ვარ იმით, რაც მაქვს“.

პრეზიდენტი ეხმარება მცირე ბიზნესს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, ღარიბებს. ურუგვაის ყველა სახელმწიფო პირი ვალდებულია, თავისი შემოსავლისა და პირადი ქონების დეკლარაცია წარმოადგინოს.

2010 წელს პრეზიდენტის ქონება წარმოადგენდა 1987 წელს გამოშვებულ 1800 დოლარად ღირებულ „ფოლკსვაგენ“ გოლფს.

ამ წელს მუხიკამ დეკლარაციაში მეუღლის ქონების ნახევარი შეიტანა – ეს არის მიწა, რამდენიმე ტრაქტორი და სახლი. შედეგად მისი ქონება 215 ათასი დოლარით გაიზარდა.

1960-1970 წლებში იგი მემარცხენე მოძრაობა „ტუპამაროსის“ შემადგენლობაში იბრძოდა, რომელიც კუბის რევოლუციის იდეებით იყო შთაგონებული.

ხოსე ექვსჯერ იყო დაჭრილი, 14 წელი ციხეში გაატარა. პატიმრობის დიდი ნაწილი სამარტოო კამერაში იყო გამოკეტილი. ციხიდან 1985 წელს გამოვიდა, როდესაც ურუგვაიში კვლავ გაიმარჯვა დემოკრატიამ. მისი თქმით, პატიმრობაში გატარებულმა წლებმა ცხოვრებაზე მისი შეხედულების ფორმირება მოახდინა. „მე ყველაზე ღარიბ პრეზიდენტს მიწოდებენ, მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობ. ღარიბები არიან ისინი, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მუშაობენ, რომ სიმდიდრეში იცხოვრონ. მათ სულ უფრო და უფრო მეტი უნდათ“.

„თუ თქვენ ცოტა ნივთი გაქვთ, მაშინ აზრი არ აქვს, მთელი ცხოვრება მონასავით იშრომოთ ამ ნივთების შესაძენად. შედეგად გამოგივათ, რომ ყველაზე დიდი დრო საკუთარ თავს დაუთმეთ. შეიძლება, მე შეშლილ მოხუცს ვგავარ, მაგრამ ეს არის ჩემი არჩევანი, ეს თავისუფლების საკითხია“.

შეეძლო პრეზიდენტის რეზიდენციაში ეცხოვრა

„მთელი დღე მყარ განვითარებაზე ვლაპარაკობდით, იმაზე, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ სიღარიბეს. მაგრამ ჩვენ რაზე ვფიქრობთ? ნუთუ ჩვენ გვინდა მდიდარი ქვეყნების ცხოვრებისა და მოთხოვნილებების დონეს მივაღწიოთ? მე თქვენ გეკითხებით: რა დაემართება ჩვენს პლანეტას, თუკი ინდიელების ყველა ოჯახს ეყოლება იმდენივე მანქანა, რამდენიც გერმანიაში ჰყავთ? მაშინ რამდენი ჟანგბადი დარჩება დედამიწაზე? არის ჩვენს დედამიწაზე საკმარისი რესურსები იმისთვის, რომ შვიდმა თუ რვა მილიარდმა ადამიანმა ისე უთავბოლოდ ვანიავოთ ყველაფერი, როგორც ამას მდიდარი ქვეყნები აკეთებენ? სწორედ ასეთი ჰიპერმოხმარება აზიანებს ჩვენს პლანეტას“, – განაცხადა ურუგვაის ლიდერმა ერთ-ერთ სამიტზე.

ხოსე მუხიკა პოლიტიკურ ლიდერთა უმეტესობას იმაში ადანაშაულებს, რომ "ისინი მოხმარების ხარჯზე ეკონომიკის ზრდის იდეით არიან შეპყრობილები, თითქოს ამის გარეშე ქვეყნის დასასრული მოვა“.

როგორც უნდა გამოირჩეოდეს ურუგვაის ვეგეტარიანელი პრეზიდენტი სხვა ლიდერებისგან, იგი პოლიტიკოსად რჩება.

„მუხიკა თავისი ცხოვრების სტილის გამო ბევრს მოსწონს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ აკრიტიკებენ მისი მმართველობის პოლიტიკას“, – ამბობს ერთ-ერთი ურუგვაელი სოციოლოგი.

ურუგვაის ოპოზიცია აცხადებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის გაზრდამ გავლენა არ იქონია განათლებისა და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაზე. პირველად პრეზიდენტის რეიტინგი 50%-ზე დაბლა დაეცა. მას აკრი-

ტიკებენ სხვა გადაწყვეტილებების გამოც. ურუგვაის კონგრესმა მიიღო კანონი – 12 კვირის ფეხმძიმის აბორტის ლეგალიზებაზე, თავისი წინამორბედი პრეზიდენტისგან განსხვავებით, მუხიკამ კანონს ვეტო არ დაადო.

მიუხედავად ამისა, ამომრჩევლებს შორის პოპულარობის დაკარგვაზე ხოსე ალბერტო არ უნდა ნერვიულობდეს. ურუგვაის კანონი პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევას არ ითვალისწინებს. ამასთან, იგი უკვე 77 წლისაა და 2014 წელს ავტომატურად გადადგება. ამის შემდეგ ის მიიღებს პენსიას და სხვა ყოფილი პრეზიდენტებისგან განსხვავებით, არ მოუწევს მკვეთრად დაცემულ შემოსავალთან შეგუება.

სანთელი

სერგო რიგვავა

გარდაიცვალა სასიქადულო მამულიშვილი, გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე **სერგო ტარასის ძე რიგვავა**.

დაიბადა 1927 წლის 17 აპრილს გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში. საშუალო განათლება გალის პირველ და სოხუმის პირველ სკოლებში მიიღო. 1944 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, 17 წლის ასაკში, აირჩიეს კომკავშირის ქ. სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად. 1946 წელს სასწავლებლად გაგზავნეს ქ. მოსკოვში ორწლიან უმაღლეს კომკავშირულ სკოლაში.

დაბრუნების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნად იდეოლოგიის დარგში, შემდეგ – კადრების დარგში, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწედ, მალე აწინაურებენ – ირჩევენ კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1952 წლის სექტემბერში აწინაურებენ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად სასკოლო განათლების დარგში. აქედან იწყება მისი საქმიანობის თბილისის პერიოდი. 1954 წელს საქ. ალკკ ცკ-ის მეორე მდივანია.

1956 წლიდან უნარიანი, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ჯერ პარტიულ, შემდეგ კი სახელმწიფო სამუშაოებზე გადაიყვანეს. სხვადასხვა დროს იყო პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში პასუხისმგებელ თანამდებობებზე, შემდეგ კი ირჩევენ პარტიის კალინინის რაიკომის ჯერ მეორე, მერე კი პირველ მდივნად. აქედან გადაჰყავთ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად იდეოლოგიის დარგში, შემდეგ კი – მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ამ თანამდებობიდან იგი დააწინაურეს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც რვა წელიწადი იმუშავა და სადაც სისტემის მუშაკთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, გამოავლინა უზადო ორგანიზატორული ნიჭი და ნოვატორული უნარი, მისი ხელმძღვანელობით პროფესიულ-ტექნიკური განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამდიდრდა, აღიჭურვა დროის შესაბამისად და მრავალ საგრძნობ წარმატებას მიაღწია.

1986 წლიდან ბატონი სერგო საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველად მუშაობდა.

სადაც უნდა ემუშავა, ყველგან გამოირჩეოდა განსაკუთრებული გულისხმიერებითა და მოკრძალებით, რითაც ქართული ინტელიგენციის პატივისცემა დაიმსახურა. დაჯილდოებული იყო ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით. იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს 7 მოწვევის დეპუტატი, მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს კომპარტიის ყრილობის დელეგატად და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად.

საგანგებოდ უნდა ითქვას სერგო რიგვავას ოჯახზე. მისი მეუღლე, ამჟამად პენსიონერი ვიქტორია სირაძე წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, სხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

წავიდა ჩვენგან სამშობლოსა და ოჯახზე გულმხურვალედ შეყვარებული, ერისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი კაცი და ზეციურ სასუფეველში მიუვიდა თავის სათაყვანებელ ქალიშვილს რუსუდანს, რომლის ნაადრევად გარდაცვალებამაც, რომ იტყვიან, სიცოცხლე გაუნახევრა.

მეგობართა ჯგუფი

მეუღლე ვიქტორია სირაძე, შვილი გიორგი რიგვავა, რძალი სიუზან დიუმა, შვილიშვილები ზურაბ ჭილაძე, ლადო, სერგი, სოფო რიგვავები, ძმისცოლი ლილი გაბუნია, ძმისწული ლია რიგვავა, სიძე ზურაბ ხაჟალია, ძმისშვილიშვილები ვერიკო, სერგო ხაჟალიები, ბიძაშვილი ციალა გოგია, ბორის ბერულავა ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

სერგო რიგვავას

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 17 XI, 14 სთ. ფალიაშვილის ქ. №31.

ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ნათელა ლაღიძე, მადონა მგელაძე, დალი ბოჯგუა, ბელა მაყაშვილი, ლამარა გაგუა, მარო გონჯილაშვილი ღრმა მწუხარებას გამოხატავენ ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, სამაგალითო მამულიშვილის

სერგო რიგვავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მეუღლეს ვიქტორია სირაძეს, ოჯახს და ნათესავებს.

ანზორ ბურჯანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ქალბატონ ვიქტორია სირაძეს მეუღლის, შესანიშნავი მოქალაქისა და მოღვაწის

სერგო რიგვავას

გარდაცვალების გამო.

ნათელა, გიზო, იუზა ვასაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიყრმის მეგობრის

სერგო რიგვავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს გიორგი, ნონა, მაია, ლალი გაბრიჭიძეებს დედის და ქალბატონ ნაზიკო ბრელიძეს რძლის, უკეთილშობილესი პიროვნების

ნატაშა გაბრიჭიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს მეგობარსა და კოლეგას გია გაბრიჭიძეს ბიცოლის

ნატაშა გაბრიჭიძის

გარდაცვალების გამო.

რეკლამა
299-62-77; 599 32-85-76.
„საქართველოს რესპუბლიკაში“

რეზო ამაშუკელი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

თამაზ (თაზო) ჭელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ზურაბ წერეთელი მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

თამაზ (თაზო) ჭელიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ (თაზო) ჭელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე თამაზ ჭირაქაძე, შვილები ქეთევანი, რევაზი, და მიზიზა, შვილიშვილები ირაკლი, სოფო, თინათინ ნიორაძეები, ნინო, თამარ, ქეთევან, დავით ჭირაქაძეები, შვილთაშვილი დემეტრე ნიორაძე, რძლები მანანა ჭანტურიშვილი, მაია ჭირაქაძე, სოფო უგრეხელიძე, სიძე გივი ნიორაძე, ძმისწულები, დისწულები ოჯახებით, მაზლი მერაბ ჭირაქაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლაურა გრიგოლის ასული ჭანტურიშვილი-ჭირაქაძე

პანაშვიდი 17, 18 XI, 17 სთ. გამოსვენება 19 XI, 14 სთ. მისამართი: ბახტრიონის 3/5, I სადარბაზო.

◎ ფენომენი

სასკვოჩი, უცხოპლანეტელთა შთამომავალი...

ჰიმალაიის მთებში ნაპოვნი ბალანის დნკ-ს ანალიზის შედეგებმა, რომელიც ოქსფორდის უნივერსიტეტის ადამიანის გენეტიკის სპეციალისტმა, პროფესორმა ბრაიან საიქსმა ჩაატარა, შოკის მომგვრელი ეფექტი გამოიწვია. ანალიზი დასავლეთ ჰიმალაებში, ლადაქხში და მისგან ათასსუთასი კილომეტრით დაშორებულ ბუთანში ნაპოვნ ბეწვს ჩაუტარდა.

ჰიმალაი დიდი ხანია თოვლის კაცის ანუ იეტის სამშობლოდაა მიჩნეული. ყოველ შემთხვევაში სწორედ ნეპალიდან და ბუთანიდან მოსული ლეგენდებით შეიტყო მსოფლიო საზოგადოებამ უზარმაზარი ბანჯგვლიანი ადამიანისმაგვარი არსების შესახებ. 1830 წელს ბრიტანელმა მკვლევარმა ჯორჯ ჰოდსონმა ბენგალიის აზიური საზოგადოების ჟურნალში პირველმა გამოაქვეყნა ცნობა მუქი ბალნით დაფარული ორფეხა გოლიათის შესახებ.

1951 წელს ცნობილმა მთამსვლელმა ერიკ შიპტონმა პირველად აღბეჭდა ფოტოფირზე ჰიმალაებში მიკვლეული იეტის ნაფეხური. გამოქვეყნებულ ფოტოს მთელ მსოფლიოში იეტომანიის აზვირთება მოყვა. 1953 წელს საკითხისადმი ინტერესი კიდევ უფრო მეტად გააღვივეს ლეგენდარულმა მთამსვლელებმა ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და შერპმა თენცინგ ნორგეიმ, რომლებმაც პირველებმა შედგეს ფეხი ჯომოლუნგმაზე. მათ, კერძოდ, განაცხადეს, რომ მთაზე ასვლისას რამდენჯერმე იეტის დიდი ნაკვალევი ნახეს, თუმცა, მას შემდეგ კიდევ ორი წლის განმავლობაში ჰილარის თოვლის ადამიანისა არ სჯეროდა.

ახლახან კი, 2013 წელს, პროფესორმა საიქსმა **იეტის ბალნის დნკ-ს თანმიმდევრობა დაადგინა და შედეგი გენომებს, გენეტიკურ მონაცემთა დიდ ბაზას შეადარა და ისტორიამდელი პოლარული დათვის ყბიდან მიღებულ დნკ-სთან ასპროცენტიანი თანხვედრა აღმოაჩინა!** ეს დათვები 40 ათას წელზე მეტი ხნის წინათ მამონტებისა და ბალნიანი მარტორქების ხანაში ბინადრობდნენ და თანამედროვე მურა და თეთრი დათვების წინაპრები იყვნენ. მეცნიერის თქმით, მიღებული შედეგი გამაოგნებელი იყო, ხოლო მის ასახსნელად დიდი მოცულობის გამოკვლევებია ჩასატარებელი. **განა რა დასაჯერებელია, რომ გადაშენებული პოლარული დათვები ჰიმალაებში, ან კავკასიაში დახეტიალობენ?**

წამოყენებული ჰიპოთეზებიდან ყველაზე სარწმუნოდ პროფესორ საიქსს მიაჩნია, რომ **იეტი — ესაა თეთრი და მურა დათვების ნაჯვარი, რომლებიც მას შემდეგ ხელახლა შეჯვარდნენ და შორეულ წარსულში დაცილდნენ.** არადა, შეჯვარება მათ ნამდვილად შეუძლიათ, მაშასადამე, არსება, რომლის ბალანი მკვლევარმა შეისწავლა — უკუევოლუციის პროდუქტია.

ალტერნატიული ვერსიით, **იეტი — ესაა უხსოვარ დროს ჰიმალაებში გადასახლებული ძველი პოლარული დათვი, რომელიც არ გადაშენდა, რაღაც იდუმალი მანქანებით გონიერი ევოლუცია განიცადა და ადამიანისმაგვარი გახდა**. სხვათა შორის, ჰიმალაებში ადგილობრივი მოსახლეობა იეტის ხშირად „მე-მეს“, ანუ „ადამიან-დათვს“ უწოდებს. ერთ-ერთ მაღალმთიან ტიბეტურ მონასტერში 300 წლის ხელნაწერი ინახება, რომელზე ორ ფეხზე მდგარი ბალნით დაფარული არსებაა გამოსახული, რომელიც, როგორც ტექსტშია აღნიშნული, „ძნელად მისადგომ მაღალმთიან ადგილებში ბინადრობს“.

ისმება კითხვა: თუ იეტი თავისებური დათვია, მაშინ ჩრდილოამერიკული, სასკვოჩი ვინღაა?არსებული ინფორმაციით, ამერიკელ „თოვლის ადამიანებს“ დათვებში ნათესავები არ ჰყავთ, რასაც ტეხასის დნკ-დიაგნოსტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელის, დოქტორ მელბა ქეთჩამის კვლევები ადასტურებს. ხუთი წლის მანძილზე მეცნიერებმა აშშ-სა და კანადის ტერიტორიაზე 109 ბიოლოგიური ნიმუში აიღეს, მათ შორის „თოვლის ადამიანების“ სისხლის კვალი, ნერწყვი, თითების ანაბეჭდი, ბალანი და ხორცის ნაგლეჯიც კი შერჩენილი კანითა და ბალანით. ამერიკელთა გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნა ასეთია: **სასკვოჩები ჰიბრიდული სახეობის ადამიანები არიან, რომლებიც თანამედროვე ადამიანსა და პრიმატებთან ახლოს მდგომი, მაგრამ მეცნიერებისთვის დღესდღეობით უცნობი არსების შეჯვარების შედეგად წარმოიშვნენ.** მკვლევართა აზრით, ეს მოხდა დაახლოებით 15 ათასი წლის წინათ. პირველ „თოვლის ადამიანთა“გაჩენის ადგილებია ცენტრალურ-აღმოსავლეთი, ან აღმოსავლეთი ევროპა.

ინფორმაცია თემაში

იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ზემოთ ნახსენებ „პრიმატებთან ახლოს მდგომი არსება“, რიგი მკვლევარი გამოთქვამს აზრს, რომ ეს, შესაძლოა, ჰიბრიდიზაციაში მონაწილე... უცხოპლანეტელები იყვნენ, რომლებიც ოდესღაც დედამიწაზე ჩამოვიდნენ. ამის მტკიცების საბაბს აშშ-ში კვლევებისას დადგენილი დნკ-ს მეტად უცნაური სტრუქტურა იძ

◎ მილოცვა

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 1950 წლის კურსდამთავრებულები ვულოცავთ ჩვენს მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, ღირსების ორდენის კავალერს **კონსტანტინე (კოტე) უჩანეიშვილს** დაბადებიდან 88 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თავისი საყვარელი ოჯახისა და მეგობრების გულის გასახარად.

ნელი გამყრელიძე, ადიკო გვალია, გია გიგიბერია, ანატოლი გეწაძე, გივი კვიჭიძე, იოსებ ლალიაშვილი, ლამარა მასსარაშვილი, ნოდარ მეძმარიაშვილი, ირაკლი მილორავა, მილიცა ნადირაძე, იამზე ფანცხავა, ნათელა ჭედია, გუგა ჭოხონელიძე, ნოდარ ჩიბალაშვილი.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონი ვაზეყლეპილია

„ინაუგურაციას რომ ვმართავთ, ამით... უფრო ვიმცირებთ თავს“

— თვლის დიპლომატიური აკადემიის რექტორი სოსო ცინცაძე, — **საქართველოში მინისტრების პირველ მოადგილეებსაც კი არ აგზავნიან, ასე რომ იყოს, სიაში აუცილებლად მიაწერდნენ. ესე იგი, გამოდის, საქმე გვაქვს რიგით მოადგილეებთან. სხვათა შორის, იტალიაში, გერმანიასა და ისრაელში, პრეზიდენტის ინაუგურაცია, როგორც ასეთი, საერთოდ ნიველირებულია, უარყოფილი. ჩვენ ინერციით მივდივართ და გვინდა მარგველაშვილს ისევე პატივი მიაგოს მსოფლიომ, როგორც ამერიკის პრეზიდენტს.**

„ალია“

უნივერსიტეტს ისევ კვიტაშვილისა და ხუბუას კადრები მართავენ?!

თსუ-ს სტუდენტთა გარკვეული ჯგუფი რექტორისგან სტრატეგიულ-სისტემურ ცვლილებას მოითხოვს. როგორც ისინი აცხადებენ, უნივერსიტეტის გარკვეულ რგოლში „ნაცმოძრაობის“ დროინდელი რექტორების — გია ხუბუასა და სანდრო კვიტაშვილის კადრები კვლავ რჩებიან და საკმაოდ დიდი გავლენაც აქვთ. უნივერსიტეტში არსებული მდგომარეობის გამო პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მთავრობა გააკრიტიკა იმის გამო, რომ მომავალ ბიუჯეტში დაფინანსების 50 პროცენტზე მეტი სამხედრო სფეროს მეცნიერებისკენ არის მიმართული.

„რეზონანსი“

„ივანიშვილმა ლარიბაშვილი გაწირა“

— ფიქრობს ირინა სარიშვილი, — **პოლიტიკური თვალსაზრისით იგი განწირულია. ამას მეტს ვერაფერს დაარქმევ, იმიტომ, რომ პრემიერ-მინისტრი არის დარტყმის პირველი ობიექტი და პირველი შტურმიც ნაციონალებისგან განხორციელდება სწორედ პრემიერ-მინისტრის მიმართ. მათ აი, ამ საკითხში საიმედო მოკავშირეებად ეგულებათ რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები.**

„ახალი თაობა“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მატარებლის კუპეში ოთხნი სხედან: გენერალი, კურსანტი და დედა თავის ქალიშვილთან ერთად. მატარებელი გვირაბში შევიდა და კუპეში სილის გაწვნის ხმაც გაისმა. დედის ფიქრები:

— ყოჩაღ, ჩემო გოგონი, შეგძლებია თავის დაცვა! გოგოს ფიქრები.

— უცნაურია! მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ დედაჩემს ეტმასნებიან!

გენერლის ფიქრები:

— უცნაურია კურსანტი მამაძაღლობს და მე მასილაქებენ!

კურსანტის ფიქრები:

— ახლა ისევ შევალთ გვირაბში, კვლავ ჩავბროშნი ჩემს ხელს და კიდევ ერთხელ გავულაწუნებ გენერალს!

* * *

— როგორ მოხვედით სამსახურში გაუპარსავი! — კიცხავს შეფი ხელქვეითს.

— რა მექნა, პარიკმახერი მთვრალი იყო და ვერ ვენდე.

— სწორად მოქცეულხარ. ვინ არის თქვენი პარიკმახერი?

— მე თვითონ...

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

299-62-77; 599 32-85-76.

— ჯონ, რას აკეთებ, როდესაც თქვენი ცოლი ღამით არ მოდის სახლში?

— არც დაიჯერებთ, ბილი, თვითონ ვიმზადებ საუზმეს!

* * *

არასდროს არ უთხრა ქალს, თუ ასეთი ჭკვიანი ხარ, თვითონ გააკეთეო.

არ უთხრა, რადგან ის მართლაც არის ჭკვიანი და მართლაც გააკეთებს.

* * *

— ისევ გალეწილი დაბრუნდი, არა? — უკივის ცოლი მთვრალ ქმარს.

— არ შემეძლო, რომ არ დამელია... მემუქრებოდნენ!

— როგორ გემუქრებოდნენ?

— თუ არ დალევ, არ დაგისხამთო!

* * *

ძალი, რომელმაც თავის თავს მამაკაცზე ხელის აღმართვის უფლება მისცა, ავტომატურად კარგავს ქალის სტატუსს და იძენს სპარინგ-პარტნიორის სტატუსს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24